ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2016 №141 (7067) ფასი: 50 თეთრი



გვ.3

## შალვა ოგბაიძე: „ევროსასამართლო ბოლომდე სამართლიანი არ არის“

16 ივნისიდან

მარიო ვარგას ლიოსა

ცუდი გოგოს ოინები




ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

# დაპირისპირება პატრიოტთა ალიანსში







გვ.6

## რატომ დატოვა პარტია მანუჩარ მაჩაიძემ

„დიდი ძმაკაცები არა ვართ მე და სოსო მანჯავიძე, მაგრამ ის კარგი კაცია. ჩვენ საკრებულოს დეპუტატები ვართ და შეხვედრა გვიწევდა. ამის გამო პარტიაში ეჭვიანობდნენ, სულ მეკითხებოდნენ, მასთან რა ურთიერთობა გაქვსო. ეს არის და ეს, ამის გამო უთანხმოება არ მოგვსვლია“

## ლია მუხაშავრია: „ვანო მერაბიშვილს მე ციხიდან გამოვუშვებდი“



„ეს ხელისუფლებაც ძალიან დაემსგავსა სააკაშვილის ხელისუფლებას“

გვ.4



„სააკაშვილი მთხოვდა, რომ გელაშვილის მიმართ განმეხორციელებინა ანგარიშსწორება. ყველაფერი კი ისე უნდა მომხდარიყო, რომ მოტივი არ გამოჩენილიყო“



## ირაკლი ოქრუაშვილმა მერაბიშვილის და სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში ჩვენება მისცა

გვ.3

ISSN 1987-9385

## კვირიკაშვილი: „ჩვენ არ ვთვლით, რომ გერმანიამ იმედები გაგვიცრუა“

გვ.2



მერკელი: „ვიზალიბერალიზაციის საკითხი „შეჩერების მექანიზმის“ კონტექსტში განიხილება და ამას საქართველოსთან კავშირი არ აქვს“

## მამუკა გიორგაძე: „ხელისუფლება ანტიდასავლურ ნაბიჯებს დგამს“



გვ.5

# კვირიკაშვილი: „ჩვენ არ ვთვლით, რომ გერმანიამ იმედები გაგვიცრუა“

## მერკელი: „ვიზალიბერალიზაციის საკითხი „შეჩერების მექანიზმის“ კონტექსტში განიხილება და ამას საქართველოსთან კავშირი არ აქვს“

**გუშინ, 15 ივნისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბერლინში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდა.**

**შეხვედრის შემდეგ მერკელმა და კვირიკაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს.**

**გერმანიის კანცლერის განცხადებით, ვიზალიბერალიზაციის საკითხი „შეჩერების მექანიზმის“ კონტექსტში განიხილება.**

– ჩვენ გასულ კვირას – ტელეფონით და დღესაც ვილაპარაკეთ ვიზალიბერალიზაციაზე. ევროკომისიამ დაადგინა, რომ საქართველომ შეასრულა ყველა კრიტერიუმი ვიზალიბერალიზაციისთვის. დღეს ლაპარაკია იმაზე, როდის მივიღებთ ჩვენ საბოლოო გადაწყვეტილებას ვიზალიბერალიზაციის შესახებ, – განაცხადა ქ-მა მერკელმა.

მან თქვა, რომ წინა კვირასაც, სატელეფონო საუბარში, ილაპარაკა იმაზე, რომ გერმანია ვიზალიბერალიზაციას განიხილავს შეჩერების მექანიზმის კონტექსტში.

– ამას არ აქვს მაინცდამაინც საქართველოსთან უშუალო კავშირი, არამედ ზოგადად, თუკი დიდი სირთულეები წარმოიქმნება და, მაგალითად, რომელიმე ქვეყნის ძალიან ბევრი მოქალაქე ჩამოვა და მოითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს, როგორც შარშან სირიის შემთხვევა იყო, ამის განმეორება რადგან არ გვინდა, ვისწრაფვით შეჩერების მექანიზმისაკენ, – აღნიშნა გერმანიის კანცლერმა.

ეს საკითხი ახლა ევროპარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს.

– მე დიდი იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე იქნება კენჭისყრა ევროპარლამენტში საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხებზე, – განაცხადა მერკელმა.

მან საქართველოსა და ევროკავშირს შორის დამოკიდებულებაზეც ისაუბრა.

– საქართველომ დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ საქართველო არ არის ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

მერკელის თქმით, ასოცირება ძალაში შედის, მაგრამ ჯერ მისი იმპლემენტაცია საჭიროა. ჯერ უნდა გაკეთდეს ყველაფერი რისი გაკეთების საშუალებასაც ასოცირების შეთანხმება გვაძლევს.

– ჯერ გავაკეთოთ ის, რაც ჩვენს გეგმაში შედის, კარგად დავამთავროთ პროცესი, ჩვენ ვხედავთ დიდ წარმატებას, პროგრესს ვხედავთ, რასაც საქართველომ მიაღწია, – განაცხადა მერკელმა.

საუბარი საქართველოსა რუსეთის ურთიერთობასაც შეეხო.

– ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ საქართველო პრაგმატულ ნაბიჯებს დგამს რუსეთთან, – აღნიშნა ქ-მა მერკელმა.



მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამაში მოიაზრებს სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს.

– ჩვენ ამაზე ვილაპარაკეთ. მიხარია, რომ ჰუმანიტარული კონტაქტები, ადამიანებს შორის კონტაქტები არსებობს ამ რეგიონებთან და მივესალმებით საქართველოს ძალისხმევას ჟენევის ფორმატში წარმატების მისაღწევად, – განაცხადა ქ-მა მერკელმა.

ნატოსთან საქართველოს ურთიერთობების კომენტირებისას გერმანიის კანცლერმა აღნიშნა, რომ ვარშავაში საუბარი იქნება იმაზე, თუ რა დამატებითი საშუალებები არსებობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში თანამშრომლობის კუთხით.

– ნატოსთან დაკავშირებით ჩვენ ვიპოვეთ კარგი გადაწყვეტილება – პაკეტი, რომელიც საქართველოსთვის შევქმენით. ჩვენ საქართველოსთან მშვენივრად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო მისიებში. ვარშავაში ჩვენ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რა დამატებითი საშუალებები არსებობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში საქართველოსთან თანამშრომლობის კუთხით. ამით, პრინციპში, ძალიან კარგი საფუძველი შევქმენით ნატო-საქართველოს თანამშრომლობისთვის, – განაცხადა ქ-მა მერკელმა.

◆ ◆ ◆

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ აუცილებელია მოხდეს ნდობის აღდგენა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოს და აფხაზ მოსახლეობასთან.

– სახელმწიფოს გააჩნია ნდობის აღდგენის პოლიტიკა, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ, მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად მივყვებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტერიტორიების დაბრუნება, არამედ ხალხის შემორიგება, პირველ რიგში და ერის გამთლიანება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია აფხაზ და ოს დებთან და ძმებთან ნდობის აღდგენა, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

შეკითხვაზე, ხომ არ რისკავს საქართველო, როდესაც, რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ნატოსკენ სვლას აგრძელებს, ქვეყნის პრემიერმა უპასუხა, რომ საქართველო კონფლიქტის ტემპერატურის დაწევას ცდილობს და ასევე სურს დაარწმუნოს რუსეთი, რომ საქართველოს ამა თუ იმ ბლოკში გაწევრიანება არ წარმოადგენს რუსეთისთვის საფრთხეს:

– ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, რომ რუსეთთან მტრული რიტორიკა ავიცილოთ, 2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენ შევცვალეთ მთავრობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი იმ კუთხით, რომ მაქსიმალურად კონსტრუქციულები გავხდით, მაგრამ აქ არ არის არანაირი კომპრომისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართულებით, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, დღეს რუსეთთან გვაქვს გარკვეული მოცულობით ვაჭრობა და ტურისტული ურთიერთობები.

– ჩვენ ვცდილობთ მოვახდინოთ კომუნიკაცია იმის, რომ საქართველოს ამა თუ იმ ბლოკში გაწევრიანება არ წარმოადგენს საფრთხეს რუსეთისთვის, საქართველო არ იქნება ამითი უფრო მეტად მტრული, ვიდრე ჩვეულებრივ ვითარებაში შეიძლება იყოს. ჩვენ გვაქვს ტერიტორიული, ოკუპაციის პრობლემები, მაგრამ ჩვენი მიდგომა მაქსიმალურად კონსტრუქციულია, რომ დავწიოთ ამ კონფლიქტის ტემპერატურა და მშვიდობიან გადაწყვეტაზე ვისაუბროთ, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა გერმანიას უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

◆ ◆ ◆

საქართველოს პრემიერს ასეთი კითხვა დაუსვეს:

– თვლით თუ არა, რომ გერმანია საქართველოს იმედებს უცრუებს ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სკეპტიკურად უყურებს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და ახლა უკვე ვიზალიბერალიზაციასაც?

კვირიკაშვილმა ამ კითხვას ასე უპასუხა:

– ჩვენი ურთიერთობები არ განისაზღვრება მხოლოდ დღევანდელი გადაწყვეტილებებით, რომლებსაც არ უნდა ვუყუროთ მხოლოდ საქართველოს მოსაზრებებით და საქართველოს მხრიდან. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კონტექსტები, მათ შორის, როგორც ევროპული პოლიტიკის, ასევე, გლობალური პოლიტიკის. ამიტომ, ჩვენ არ ვთვლით, რომ გერმანიამ გაგვიცრუა იმედები. ჩვენ ვთვლით, რომ ის პროცესი, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, კიდევ უფრო გვაახლოებს გერმანიას.

გერმანიის როლი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში და ევროპული ტრანსფორმაციის პროცესში კიდევ უფრო გამოიკვეთა, რაც ბუნებრივიც უნდა იყოს. ამიტომ, ჩვენ ვთვლით, რომ აუცილებლად მივაღწევთ ურთიერთგაგებას ამ პროცესში.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო აუცილებლად მიიღებს ვიზალიბერალიზაციას და გახდება ნატოს წევრი.

– ამისთვის საქართველო უნდა იყოს თანმიმდევრული ქვეყნის გარდაქმნის პროცესში, გააფართოოს პარტნიორობა ალიანსთან. შესაძლებლობების ფანჯარა გაიხსნება საქართველოსთვის მაშინ, როდესაც საერთაშორისო კონტექსტი მზად იქნება ამისთვის.

გერმანიასა და საქართველოს შორის ურთიერთობები არის უმნიშვნელოვანესი და ჩვენ მადლობლები ვართ გერმანიის იმ მრავალმხრივი მხარდაჭერისთვის, რომელსაც ის ჩვენს ქვეყანას ბოლო ათწლეულების განმავლობაში უწევს, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

---

# გუგული მაღრაძე: „გერმანიის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ უნდა შერბილდეს“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გუგული მაღრაძე გერმანიაში პრემიერ-მინისტრის ორდღიან ვიზიტს აფასებს.

როგორც დეპუტატმა ჟურნალისტებს განუცხადა, ვიზიტის შემდეგ შესაძლოა, გერმანიის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შერბილდეს.

– გერმანია, ვიცით, რომ არის ის ქვეყანა, რომელიც ყველაზე თავშეკავებულია არამხოლოდ საქართველოს მიმართ, საერთოდ ევროკავშირის გაფართოების მიმართ. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი ხაზს უსვამს ხოლმე ქართველი კრიმინალების არსებობას. თუმცა, ეს არის შედარებით ძალით მოტანილი საბაბი. შეიძლება შერბილდეს ის დამოკიდებულება, რაც აქვს გერმანიის ხელისუფლებას, ასე ვთქვათ, აღარ იყოს ასეთი შეუვალი“, – განაცხადა მაღარაძემ.



შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ორდღიანი ვიზიტით გერმანიას ესტუმრა.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

**მედიანიუსი**

---

# ლადო ბედუკაძე თემურ ხაჩიშვილთან მიდის

ლადო ბედუკაძე პოლიტიკაში მიდის და პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების“ ერთ-ერთი ლიდერი ხდება. პარტია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს და ამომრჩეველს ხელშეკრულების დადებას სთავაზობს.

„ცენტრისტების“ წარმომადგენლის, თემურ ხაჩიშვილის განცხადებით, ისინი მოსახლეობას 8-პუნქტიან გეგმას წარუდგენენ, რომელიც, სურვილის შემთხვევაში, რუსული პენსიის დანიშვნას, 2017 წლის ბოლომდე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და ევრაზიულ კავშირში გაერთიანებას ითვალისწინებს.

– დაიწყება ლტოლვითა უპირობო დაბრუნების პროცესი, რომელიც დასრულდება 2017 წლის ბოლომდე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან ერთად. რუსეთთან მოიხსნება სავიზო რეჟიმი, ქართული პროდუქციისთვის გაიხსნება ბაზარი და საქართველო გახდება ევრაზიული კავშირის წევრი, – განაცხადა თემურ ხაჩიშვილმა.





მოკლე განცხადებით შემოიფარგლა, პარტიის წევრი ლადო ბედუკაძე.

– გადავწყვიტე გავწევრიანდე პარტია „ცენტრისტებში“, მოვუწოდებ იმ ადამიანებს, ვინც წვლილი ვერ შეიტანა საკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებების შეჩერებაში გაწევრიანდეს პარტიაში და დაასრულოს დაწყებული საქმე, – განაცხადა ლადო ბედუკაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

---

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შალვა ოგბაიძე: „ევროსასამართლო ბოლომდე სამართლიანი არ არის“

შორენა მარსაგიშვილი

ვისი ან რისი ბრალია სტრასბურის სასამართლოს მიერ ვანო მერაბიშვილისთვის გამოტანილი განაჩენი, რა არის მთავარი ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსთვის, რატომ ჭიანურდება საქართველოში სამართლიანობის აღდგენა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი შალვა ოგბაიძე ესაუბრება.

***– სტრასბურის სასამართლოს მიერ მერაბიშვილისთვის გამოტანილ განაჩენს საქართველოს ხელისუფლების უუნარობას უკავშირებენ. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– მას შემდეგ, რაც 72 ადამიანს მკვლელ ბრეივიკს შოკოლადის მიუწოდებლობა წამებად გაუთანაბრეს, ნამდვილად აღარ მიკვირს, ვანო მერაბიშვილზე ასეთ დასკვნას რომ წერენ. ერთი რამ ცხადია, ევროსასამართლო ძალიან გაზულუქდა. მათ აქვთ ძალიან მაღალი ხელფასები, ცხოვრობენ ფუფუნებაში და მხოლოდ საკუთარი ჯიბეებიდან იყურებიან.

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ჩემი ოჯახის, პირადად ჩემი, ჩემი შვილების წამების, დევნის ფაქტზე სარჩელით მივმართეთ სტრასბურს. სარჩელის დაწერაში ევა გოცირიძე მომეხმარა და მანვე შეიტანა ეს განაცხადი. ევროსასამართლომ ეს სარჩელი განსახილველად არც კი მიიღო.

***– სტრასბურმა რატომ არ მიიღო თქვენი სარჩელი?***

– ზუსტად არ ვიცი. ეს ევა გოცირიძეს და ზაქარია ქუცნაშვილს უნდა ჰკითხოთ. მათ ჰქონდათ კომუნიკაცია. მე მხოლოდ ქაღალდი მომივიდა, რომ სარჩელი არ მიიღეს.

ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩემი და ჩემი თანამოქალაქეების ეჭვი იმის შესახებ, რომ ევროპული სასამართლო ბოლომდე სამართლიანი არ არის.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ. პრობლემები საქართველომ საკუთარ თავშიც უნდა ეძებოს, პირველ რიგში, ეს სასამართლოს და პროკურატურას ეხება. მე არ ვიცი, რა ბრალდებები წაუყენეს ვანო მერაბიშვილს, მაგრამ ჩემი განცხადება ჩვენს პროკურატურას არც კი განუხილავს.

***– კონკრეტულად რაზე შეიტანეთ საჩივარი?***

– საჩივარში კონკრეტულ საქმეებზე იყო საუბარი. 2011 წლის 26 მაისს საოპერაციო მაგიდაზე დამაპატიმრეს, 2009 წლის 6 მაისს აკრძალული ტყვიებით დაგვხვრიტეს მე და ჩემი მეგობრები. ჩემს განცხადებაზე საგამოძიებო მოქმედება რომ დაწყებულიყო, აუცილებლად დაიკითხებოდა ის ადამიანი, ვინც გასცა საოპერაციო მაგიდაზე ჩემი დაკავების ბრძანება. ამით მტკიცებულებებით გამყარებულ ისეთ პროდუქტს მივიღებდით, რომელიც იქნებოდა უტყუარი საბუთი და ვერც ერთ გაზულუქებულ ჩინოვნიკს ენა ვერ მოუბრუნდებოდა იმის სათქმელად, რომ მერაბიშვილი უკანონოდ არის დაკავებული.

***– 26 მაისის დარბევა ისე გამოიძიეს, რომ თქვენ პროკურატურამ არ დაგკითხათ?***

– როგორც თქვენ არ დაუკითხიხართ ამ საქმეზე, ისე მე არ დავუკითხივარ არავის. არც ჩემი ბევრი თანამებრძოლი დაუკითხავს ვინმეს. 26 მაისს დაკავებულთა ნაწილს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გამოცემულმა ამნისტიამ საპატიმრო ადგილებში მიუსწრო. ისინი პოლიტპატიმრის სტატუსით გამოვიდნენ, მაგრამ საქმე ამის იქეთ აღარ წასულა. არც ერთი მათგანი დამატებით არავის დაუკითხავს. თითქოს, მართლა დამნაშავეები იყვნენ, არც მათი რეაბილიტაცია მომხდარა.

ყველას რატომღაც დაავიწყდა 2011 წლის 26 მაისამდე 10 დღით ადრე დაწყებული მასობრივი „აყრა“. ძალიან ბევრი ჩვენი აქტივისტი დააკავეს იმ პერიოდში. მათ შორის იყო თქვენი კოლეგა და ჩვენი მეგობარი ალეკო ჩუბინიძე. დააკავეს გიორგი ჯავახიშვილი და გოჩა წიკლაური. ბესო დანელია 21 მაისს თავის ოჯახთან ერთად იყო, როცა დააპატიმრეს და ძვლებში დაამტვრიეს. ამის ნიადაგზე მის მეუღლეს მუცელი მოეშალა. ბესოს ორივე ფეხი გადატეხილი ჰქონდა და ფიზიკურად ვერ წაიყვანეს, თორემ მასაც ტენიდნენ მანქანაში. კიდევ ბევრი ადამიანის ჩამოთვლა შემიძლია, მაგრამ არ მინდა ვინმე გამომრჩეს.

როდესაც პოლიტიკურ ტილს – ნაციონალურ მოძრაობას ფეხზე დაისვამ, ის თავზე აგაცოცდება. ასეც მოხდა და ამიტომ ევროსასამართლო გაუმაგრებელი და უსუსური ბრალდებების გამო ამართლებს მერაბიშვილს. ისინი მერაბიშვილის ნამოქმედარს არ იძიებენ. ევროსასამართლოში უყურებენ იმ ქაღალდებს, რომლებიც მათ წარუდგინეს და აინტერესებთ, რამე სამართლებრივი ნორმა ხომ არ არის დარღვეული.

***– რეალური მტკიცებულებები რომ ყოფილიყო, სხვა განაჩენი დადგებოდა?***

– რა თქმა უნდა. ათასობით ადამიანის მკვლელობის, ქონების წართმევის, წამების და უკანონო მოსმენების ფაქტი თუ იქნებოდა გამოძიებული, გაზულუქებული სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას აღარ მიიღებდა. ფარული მოსმენა ჩემზეც ხორციელდებოდა და ეს ჩანაწერი სოციალურ ქსელშიც დევს. არც ამაზე დავუკითხივარ ვინმეს.



***– სამეგრელოში ნაპოვნ კასრებში დასაჭერი ხალხის სიაც აღმოაჩინეს. ამ სიაში თქვენი გვარიც ფიგურირებდა, არც ამაზე ჩატარებულა გამოძიება?***

– არც ამაზე ჩატარებულა და არც ბევრ სხვა საქმეზე, საქართველოში ბევრს წაართვეს ქონება, მაგრამ მხოლოდ ქიბარ ხალვაშის საქმეს იხილავენ. ისიც იმიტომ, რომ მასზე ევროპაში თქვეს რაღაც. რა გამოდის, ევროპაში თუ ჩვენი საქმეებით არ დაინტერესდნენ, აქაურმა პროკურატურამ არ უნდა გამოიძიოს? ასეთი მიდგომა ძალიან ცუდია ქვეყნის განვითარებისთვის.

სამწუხაროდ, ჩემთვის სასამართლო გახდა მურუსიძე. ბედის ირონიით, ეს ის მურუსიძეა, რომელმაც ძალაში დატოვა ჩემთვის ქონების ჩამორთმევის გადაწყვეტილება.

***– ჩამორთმეული ქონების დაბრუნება მაინც თუ მოახერხეთ?***

– დაბრუნებას ვინ ჩივის, ამ საქმის გამოძიებაც კი არ დაუწყიათ. მეტსაც გეტყვით, ჩვენი ფირმის დარჩენილი ქონება აღსრულების ბიუროს მიერ არის დაყადაღებული და ინახება ორხევის საწყობში. ამ ადამიანების კეთილი ნებაა, ეს ქონება აუქციონზე რომ არ გააქვთ. აქამდე 2 თვეში ერთხელ მირეკავდნენ, აუქციონზე უნდა




გავიტანოთო. შარშან შეიქმნა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, რომელსაც ირაკლი ნადირაძე ხელმძღვანელობს. ამ კომისიიდან მისული წერილის საფუძველზე შეჩერდა აუქციონი. ამის შემდეგ ერთი წელი გავიდა, წინ არ წასულა საქმე. უკვე მერიდება კიდევაც ამაზე დარეკვა.

***– დარეკვა რატომ გერიდებათ?***

– ვატყობ, რომ სასამართლოს ამ შემადგენლობას ამ საქმეების გამოძიების რესურსი აღარ დარჩა. კიტრს დასამწნილებლად 15 დღე სჭირდება, კომბოსტოს – 25 დღე, ამ საქმის დამწნილებას შესაძლოა 4 წელი დასჭირდეს და ალბათ ამის შემდეგ გახსნიან.

***– ნაციონალები ახლა უგულავას და ახალაიას საქმის განხილვას ელოდებიან. მათაც მერაბიშვილის მაგვარ განაჩენს ხომ არ გამოუტანს სტრასბურის სასამართლო, თქვენ მიერ ნახსენები გამოუძიებელი საქმეებიდან გამომდინარე?***

– არ არის გამორიცხული, იგივე გადაწყვეტილება გამოიტანონ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მათთვის მთავარია, რა წერია ქაღალდზე. ადამიანის დაჭერა ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა. დაჭერილ ადამიანზე უკვე ღმერთი ზრუნავს. ერთი ცაში არსებობს სამსჯავრო და დედამიწაზე არის სისხლის სამართლის კოდექსი. რატომ ჰქვია მას სისხლის სამართალი? მართალია, მწარეა, მაგრამ ამაზე უკეთესი კაცობრიობას ჯერ არაფერი მოუგონია. სამართლის ქმნა თანაბრად უხდება დაზარალებულსაც და დამნაშავესაც.

***– დარწმუნებული ხართ, რომ დამნაშავესაც წაადგება?***

– კარგად თუ ჩაუღრმავდება ადამიანი, შესაძლოა, მის სულში კათარზისი მოხდეს. მეტი არაა ჩემი მტერი, ვანო მერაბიშვილის სულში ეს მოხდეს.

***– მერაბიშვილის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება ხომ არ აიძულებს ხელისუფლებას, ნაციონალების დროს დაზარალებულების საქმეები უფრო ეფექტურად გამოიძიონ?***

– არ ვიცი, წესით აქამდე უნდა გამოეძიათ. ახლა იწყება საარჩევნო კამპანია და ამ დროს არავის ხელის ხლება არ შეიძლება. ალბათ კიდევ მოგვიწევს ლოდინი.

# ირაკლი ოქრუაშვილმა მერაბიშვილის და სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში ჩვენება მისცა

**თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ვანო მერაბიშვილის და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში ჩვენება მისცა.**

ირაკლი ოქრუაშვილი 2005 წლის ივლისში ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე დაიკითხა. როგორც ოქრუაშვილმა სასამართლოში ჩვენების მიცემისას აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილს ვალერი გელაშვილის მიმართ გარკვეული წყენა ჰქონდა, რომელიც უკავშირდებოდა ექსპრეზიდენტის ოჯახის წევრებზე გელაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს.

– სააკაშვილი მთხოვდა, რომ გელაშვილის მიმართ განმეხორციელებინა ანგარიშსწორება. ყველაფერი კი ისე უნდა მომხდარიყო, რომ მოტივი



არ გამოჩენილიყო. მე ამ თხოვნაზე უარი განვაცხადე და შემდეგ უკვე, როცა ფაქტი მოხდა და როცა მიხეილ სააკაშვილს ვესაუბრე, მასთან საუბრის დროს დავრწმუნდი, რომ მისი თხოვნა შესრულდა ვანო მერაბიშვილის მიერ, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

მისივე თქმით, სააკაშვილთან ამ თემაზე რამდენიმე შეხვედრა იყო და ერთ-ერთს სამნი – თავად ირაკლი ოქრუაშვილი, ვანო მერაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ესწრებოდნენ.

– ამ საუბრის შინაარსი მე უკვე მოგახსენეთ. ანგარიშსწორების თხოვნა მომდინარეობდა ჩემ მიმართ, იმიტომ, რომ მყავდა ისეთი ჯგუფი, რომელიც ერთგულების ნიშნით გამოირჩეოდა, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

მისივე თქმით, იმჟამინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს აქეზებდა.

– მერაბიშვილი აგულიანებდა და ეუბნებოდა, თუ ერთხელ ასეთი რამ პრეზიდენტს ვინმემ გაუბედა, მაშინ სხვებიც გაუბედავდნენ, რომ არ უნდა დარჩენილიყო ყურადღების მიღმა და გარკვეული ზომები უნდა მიგველო.

ჩავთვალე, რომ მიხეილ სააკაშვილის გადარწმუნებას აზრი არ ჰქონდა. მეორე შეხვედრა იყო, როცა მე ვცდილობდი გადარწმუნებას, მესამე შეხვედრაზე კი პოსტ ფაქტუმ ვისაუბრეთ, ანუ ეს ყველაფერი მოხდა და ვალერი გელაშვილზე ანგარიშსწორება განხორციელდა, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატის კითხვაზე, რატომ არ მისცა ასეთი ჩვენება მან წინასწარი გამოძიებისას, როდესაც ორჯერ დაიკითხა, ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ მისი დაკითხვა ზერელედ და ზედაპირულად მოხდა.

– მე ორჯერ დავიკითხე და დამ-



რჩა შთაბეჭდილება, რომ გამომძიებელი არ იყო დაინტერესებული, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ზერელედ და ზედაპირულად მოხდა ჩემი დაკითხვა. ეს დაკითხვები იყო სპონტანური, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

# ზურაბ აბაშიძე: „ჩვენთვის ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარი არასოდეს იქნება“



პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერ ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ხელისუფლების არაკვალიფიციურობის შედეგია.

ამის შესახებ აბაშიძემ საკითხის კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა.

– სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება არის სწორედ მურუსიძის სასამართლოს, შოთაძის პროკურატურის, წულუკიანის იუსტიციისა და ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის შედეგი და ხელისუფლების არაკომპეტენტურობა, არაკვალიფიციურობა. სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ და „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხეს, რომ ვანო მერაბიშვილზე შეიძლება იყო საუბარი, რომ იგი არის პოლიტიკური პატიმარი. „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ არასდროს ყოფილა ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარი და ვერც ვერასოდეს იქნება, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მედიანიუსი

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ლია მუხაშავრია: „ვანო მერაბიშვილს მე ციხიდან გამოვუშვებდი“

ნათია ხურცილავა



„მერაბიშვილის საქმის მოსამართლეები თანამდებობიდან უნდა წავიდნენ“

სამართლის ექსპერტი, ადვოკატი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვანო მერაბიშვილის საქმეზე, სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საუბრობს.

***– ქალბატონო ლია, მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებას ნაციონალური მოძრაობის მხრიდან მოჰყვა განმარტება, რომ მერაბიშვილი ევროპულმა სასამართლომ პოლიტპატიმრად აღიარა. ხელისუფლების წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ასე არ უთქვამს სტრასბურის სასამართლოს. მაინც რა გადაწყვეტილება მიიღო სტრასბურის სასამართლომ?***

– ჯერ კიდევ 2000 წელს სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტება გააკეთა, თუ ვინ არის პოლიტიკური პატიმარი. პოლიტპატიმრად ითვლება პირი, თუ ის იყო მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი და მის მიმართ დაშვებულია პროცესუალური დარღვევები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

ამ ეტაპზე, რაზეც იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ, იყო ის, რომ მერაბიშვილის მიმართ ბრალდების წაყენება თანმიმდევრულად ხდებოდა. ერთბაშად კი არ მოხდა ყველა ბრალის წაყენება, არამედ ერთი საქმე რომ დამთავრდებოდა, მერე მეორეზე წაუყენებდნენ, მოგვიანებით მესამეზე და ა.შ. ეს არის უხეში დარღვევა. სწორედ ამ უხეშმა დარღვევამ გამოიწვია ევროსასამართლოს ეს გადაწყვეტილება. თუ ვინმეს არ უნდა, ის პოლიტპატიმრად აღიაროს, ეს მისი ნებაა, მაგრამ ფაქტია, რომ მერაბიშვილის დევნა მოხდა პოლიტიკური ნიშნით და კანონის უხეში დარღვევით.

***– პოლიტიკური ნიშნით თუ ჩადენილი დანაშაულებების გამო, რომელზეც არის საუბარი სასამართლოს გადაწყვეტილებაში?***

– რა თქმა უნდა, დევნა უნდა განხორციელდეს მის მიმართ, მაგრამ ამ დროს არ უნდა მოხდეს არც ერთი საპროცესო ნორმის დარღვევა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით ან ევროპული კონვენციით არის დაცული.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მერაბიშვილი არ არის ყველა იმ დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემული, რომელიც მას აქვს ჩადენილი. მეორე, მის მიმართ ასევე სახელმწიფომ მძიმე დანაშაული ჩაიდინა, როდესაც როგორც პატიმრის მიმართ საპროცესო გარანტიები დაარღვია დაკავებისა და სასამართლოში საქმის გამოძიების დროს.

***– ევროსასამართლო მსჯელობს მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ეპიზოდზე, რომელზეც თავად ბრალდებულმა განაცხადა. ეკა ბესელია ამბობს, რომ ამ ეპიზოდის თავიდან გამოძიება უნდა მოხდეს. თავის დროზე ჯეროვანი რეაგირება რომ ყოფილიყო, სტრასბურის სასამართლო სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა?***

## „ეს ხელისუფლებაც ძალიან დაემსგავსა სააკაშვილის ხელისუფლებას“

– დიახ, თავის დროზე ამ ფაქტს ყურადღება რომ არ მიაქციეს, სწორედ ამან გამოიწვია ის ჩანაწერი, რომ ხელისუფლებას დაევალა გამოიძიოს ეს გარემოება. აღნიშნული ეპიზოდის გამოძიების შედეგების გაცნობა სწორედ ევროსასამართლოს მეთვალყურეობით მოხდება.

ახლა ასე მარტივი არ იქნება სიტუაციიდან გამოძრომა, როგორც ეს მაშინ მოხდა. მაშინ საზოგადოებას უთხრეს, რომ ვიდეოჩანაწერი 24 საათზე მეტხანს არ ინახება, ეს იყო ძალიან არასერიოზული დამოკიდებულება. მსგავს სიტუაციებში ყოველთვის მტკიცების ტვირთი მოდის სახელმწიფოზე. ყველაფერი უნდა ეღონა მაშინ სახელმწიფოს, რათა დაემტკიცებინა, რომ მერაბიშვილის საკნიდან გაყვანა არ მომხდარა და რომ ცრუობს ის, მაგრამ ასე არ მოხდა.

მსგავს სიტუაციებში ყოველთვის მომჩივანს უჯერებენ, რადგან მთავრობამ ვერ დაამტკიცა საწინააღმდეგო, რომ ფაქტს ადგილი არ ჰქონდა.

***– საწინააღმდეგო შედეგი რომ დაედო გამოძიებას, რომ ფაქტს ჰქონდა ადგილი?***

– გამოძიებას რომ დაედგინა, რომ მერაბიშვილის საკნიდან გაყვანას ადგილი ჰქონდა და ეს გამოძიებას ღიად ეთქვა, მაშინ ეს ეპიზოდი და ეს ფაქტი არ მოხვდებოდა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში. ეს იქნებოდა გამოძიების შედეგად გამოაშკარავებული ფაქტი.

***– როგორი უნდა იყოს ახლა ხელისუფლების მოქმედება?***

– მათ უნდა აღიარონ, რომ თავის დროზე ვერ მოხდა გამოძიება და ახლა დადონ რეალური შედეგები.

***– სახელმწიფოს იმიჯზე რამდენად იქონიებს ეს გადაწყვეტილება გავლენას? გარკვეული თანხაც დაეკისრა სახელმწიფოს.***

– მხოლოდ თანხა და თანხის ოდენობაც, რომელიც დაეკისრა სახელმწიფოს, არ არის პრობლემა. პრობლემა გაცილებით უფრო მძიმეა. ზოგადად ევროპის სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილებები ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის ბევრის მთქმელია, სწორედ აქ არის პრობლემა. როდესაც ამ ფორმით ხდება ანგარიშსწორება, ეს არის დაუშვებელი.

ევროსასამართლომ გადაწყვეტილება ძალიან სწრაფად გამოიტანა, პრიორიტეტი მიანიჭა ამ საქმეს. დარწმუნებული ვარ, რომ გადაწყვეტილების აღსრულებაზეც დიდი ყურადღება ექნება ევროსასამართლოს. აქამდე საქმე არ უნდა მიეყვანათ. ხელისუფლებას ვურჩევდი, რომ ის კომენტარები არ გაეკეთებინათ, რაც გააკეთეს გასაჩივრებასთან დაკავშირებით. მეტიც, მე შეშფოთებას გამოვხატავდი და ვიტყოდი, რომ მერაბიშვილს გავათავისუფლებთ, ვინაიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა პროცესუალურ დარღვევას.

***– მსგავსი განცხადება დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევს თუნდაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში.***

– ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს ის, რა დიდი დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი, უნდა მიეზღოს მხოლოდ იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან ჩაიდინა. თანაც, პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ ზედმიწევნით კარგად უნდა იყოს დაცული ყველა საპროცესო მოთხოვნა.

ეს ხელისუფლებაც ძალიან დაემსგავსა სააკაშვილის ხელისუფლებას, რადგან ისინიც არ ათავისუფლებდნენ იმ პატიმრებს, რომელთა მიმართაც კანონმდებლობა დაარღვიეს. ძალიან საწყენია ასეთი იდენტური ფაქტების არსებობა.

***– ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ვინც ეს საქმე აწარმოა, ყველა პასუხისგებაშია მისაცემი. თქვენი განწყობაც ასეთია?***

– მეც მომხრე ვარ, რომ მოხდეს გამოძიება, ვისი დაუდევრობით თუ შეცდომით ან განზრახვით მოხდა ის, რომ სტრასბურის სასამართლომ მიიღო ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო.

ევროსასამართლომ თქვა, რომ წინასწარი დაკავებისას იყო დარღვევა. ამაზე ვიღაცამ უნდა აგოს პასუხი. მე არ ვსაუბრობ ყველას დაჭერასა და განთავისუფლებაზე. აქ საუბარია, რომ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ პასუხისმგებლობა დაეკისროთ ამ მოსამართლეებს და ისინი თანამდებობიდან წავიდნენ.

მაშინ ჩვენ გაცილებით უკეთესი და ხარისხიანი მართლმსაჯულება გვექნება, ვიდრე დღეს გვაქვს. ეს ძალიან გონივრული იქნებოდა, თანაც ეს იქნებოდა ერთგვარი გზავნილი ევროპული სასამართლოს, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვისაც.

# მანანა კობახიძე: „სტრაბურის მიერ მიღებულ დასკვნაში არსად წერია, რომ ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარი იყო“



საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე სტრასბურის სასამართლოს მიერ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხმაურება.

როგორც კობახიძემ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, განჩინებაში არსად იყო ნახსენები ის ფაქტი, რომ მერაბიშვილი საქართველოში პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე დააკავეს.

– სამწუხაროდ, 14 ივნისს მერაბიშვილის ადვოკატი და „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცადა, რომ სხვაგვარი ინტერპრეტაცია მიეცა ამ საქმისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დადასტურდა ის გარემოება, რომ ვანო მერაბიშვილის მიმართ გამოყენებული პატიმრობა კონვენციის მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისობაში იყო. არ ჰქონია ადგილი ამ პუნქტის დარღვევას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ადვოკატი აპელირებდა ტიმოშენკოს და ლუცენკოს საქმეზე, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არსებითი განსხვავებაა ამ საქმეებს შორის – ეს დარღვევა ეხებოდა უკანონო პატიმრობას.

ჩვენ შემთხვევაში ვანო მერაბიშვილის პატიმრობა იქნა კანონიერად მიჩნეული. ეს შედარებები კი ემსახურება სწორედ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რაც შეეხება პოლიტიკურ კონტექსტს, აქაც ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ თუნდაც იმ მე-18 მუხლის დარღვევა, რომელზეც აპელირებს მხარე და პარალელს ავლებს, არც აქ თქმულა, რომ ეს მუხლი დაირღვა იმის გამო, რომ მერაბიშვილი პოლიტიკური მოტივით იყო დაკავებული. არსად პოლიტიკურ მოტივებზე ხაზგასმა არ არის, უბრალოდ განხილულია ის განცხადებები და ის მიმართვები, რომლებსაც მხარე სასამართლოში აგზავნიდა.

გარკვეული განცხადებები იყო გაკეთებული მის მიმართ თითქოს პოლიტიკური დევნის შესახებ და ეს განცხადებები, ბუნებრივია, სასამართლოს უნდა განეხილა კიდეც, თუმცა ამ გარემოებებზე დაყრდნობით არანაირი შეფასება არ გაუკეთებია სასამართლოს და პირიქით თქვა, შეფასება პოლიტპატიმარი არ გამოყენებულა არც პოლიტიკური დევნა, როგორც ფაქტი დადებული და აღიარებული არ ყოფილა, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება თითქოს სტრასბურის სასამართლომ საქართველოს მითითება მისცა, რომ მერაბიშვილი გათავისუფლდეს, სიცრუეა.

**მედიანიუსი**

# დაადანაშაულებს თუ არა სააკაშვილს ჰააგის პროკურორი აგვისტოს ომთან დაკავშირებით




რუსული გამოცემა „КоммерсантЪ“-ი ეხმაურება ჰააგის პროკურორის მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებაში ე.წ. სამხრეთ-ოსური მხარის ჩართვას და ზოგადად, ამ გამოძიების სავარაუდო შედეგებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

პუბლიკაციის მიხედვით, 2008 წელს მომხდარი მოვლენების გამო, დღემდე ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტრუქტურების ყურადღების ცენტრში საქართველო და რუსეთი იმყოფებოდა, ახლა კი გადაწყდა, რომ სამხრეთ ოსეთის მიერ წარდგენილი ფაქტებიც განიხილონ.

– ადრე პრობლემა იმაში გამოიხატებოდა, რომ სამხრეთ ოსეთი, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის პოზიციის მიხედვით, საქართველოს ნაწილია და არა დამოუკიდებელი სახელმწიფო, ახლა კი სასამართლომ გადაწყვიტა ოსებსაც მოუსმინოს. განსაკუთრებით მას აინტერესებს ცხინვალელთა თვალსაზრისი ქალაქის დაბომბვაზე, – ამბობს ერთ-ერთი უფლებადამცველი ორგანიზაცის „სამართლებრივი ინიციატივის“ იურისტი გრიგორ ავეტისიანი, რომელიც დახმარებას უწევდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას. მისი თქმით, ჰააგის სასამართლოს წარმომადგენლები ცხინვალში ექვსი თვის შემდეგ ჩავლენ.

სტატიაში ავტორები გადმოსცემენ აგრეთვე რუსი და ქართველი ექსპერტების – კირა საზონოვასა და ელენე თევდორაძის პოზიციებს ამ საკითხზე:

რუსეთის სახალხო მეურნეობის აკადემიის დოცენტი, იურისტი კირა საზონოვა მიიჩნევს, რომ ჰააგის სასამართლოს წარმომადგენლების სამხრეთ ოსეთში ჩასვლა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ბევრ მოვლენას ახდის ფარდას და აუცილებლად დადგება საკითხი სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის თაობაზე.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის ელენე თევდორაძის თქმით, სასამართლოს პროკურორის ფატუ ბენსუდას ოფისის მიერ ჩატარებული გამოძიება მიხეილ სააკაშვილს ვერაფერში ვერ დაადანაშაულებს: „სრულიად აშკარაა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი [რუსეთის მიერ განხორციელებული] მასშტაბური პროვოკაცია იყო, რომელსაც მაშინდელი ხელისუფლება წამოეგო“.

**ნიუსპრესი**

# ელიოტ ენგელი: „ჩვენ არასაკმარისი ძალისხმევა გამოვიჩინეთ ნატოში საქართველოს მისაღებად“



ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრის ნიუ-იორკის შტატიდან ელიოტ ენგელის განცხადებით, არასაკმარისმა ძალისხმევამ, თავის დროზე შესულიყო უკრაინა და საქართველო ნატო-ში, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადა მათი შესვლა ალიანსში სამომავლოდაც.

მისი თქმით, ისინი რომ ალიანსის წევრები ყოფილიყვნენ, პუტინის აგრესია მათზე ვერ განხორციელდებოდა.

– რომ დავუბრუნდეთ 2008 წელს, – ვფიქრობ დაშვებული იყო სტრატეგიული შეცდომა, რომ ნატო-მ არ მიღო უკრაინა და საქართველო. მე ვიცი, ბუშის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ ცდილობდა როგორმე ეს გაეკეთებინა, მაგრამ გერმანიამ და ფრანგებმა დაბლოკეს. ჩემი აზრით, პუტინის აგრესია ამ ორ ქვეყანაში არ მოხდებოდა, ისინი რომ ნატო-ს წევრები ყოფილიყვნენ. ჩვენმა არასაკმარისმა ძალისხმევამ, მიგვეღო უკრაინა და საქართველო ნატო-ში, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა მათი შემოსვლა ალიანსში მომავალში. ვფიქრობ, ეს დრო დავკარგეთ, – განაცხადა კონგრესმენმა.

**ნიუსპრესი**

# მამუკა გიორგაძე: „ხელისუფლება ანტიდასავლურ ნაბიჯებს დგამს“

მარიამ მჭედლიშვილი

**სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე მიიჩნევს, რომ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერაა პროვოცირებული. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ პროცედურები ვანო მერაბიშვილის დაკავების დროს შეგნებულად დაირღვა.**

**მამუკა გიორგაძე:**

ვანო მერაბიშვილის დაკავებისას პროცედურები სპეციალურად დაირღვა. პროცედურებს ჩვენში არ ექცევა ყურადღება, თორემ ცივილიზებული სამყაროსთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიღო ის გადაწყვეტილება, რომელიც უნდა მიეღო.

ამ პარლამენტის პირველივე სხდომაზე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ იწყებენ პროცედურული დემოკრატიის დამყარებას. რეალობაში სხვა რამ ხდება. ერთი მხრივ, დააკმაყოფილეს საზოგადოების მოთხოვნა და ვანო მერაბიშვილი შედარებით მსუბუქი სასჯელებისთვის ციხეში ჩასვეს, მეორე მხრივ, დააპირისპირეს ქართული საზოგადოება დასავლურ საზოგადოებას.

***– ქართული საზოგადოება ამით დასავლურს დაუპირისპირდა?***

– რა თქმა უნდა. ესაა კიდევ ერთი მიზეზი იმისთვის, რომ გაიზარდოს ანტიდასავლური განწყობები. ხალხში უკმაყოფილებაა იმაზეც, რომ არ დასჯილან ნაცმოძრაობის ხელისუფლების წევრი დამნაშავეები. ვანო მერაბიშვილისთვის 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა არაა ადეკვატური სასჯელი.

***– საუბარია მის გამოშვებაზეც.***

– სტრასბურის სასამართლოს არაფერი უთქვამს მის გამოშვებაზე, ბრალეულობაზე. ეს საჩივარი შევიდა მაშინ, როცა ვანო მერაბიშვილი დააკავეს და გამოძიება დასრულებული არ იყო. გამოშვებაზე ლაპარაკობს ნაცმოძრაობა. ეს პარტია ახდენს ინსინუაციებს ამ თემაზე. ამის შედეგად იურიდიულ ნიუანსებში გაურკვეველი საზოგადოება შეიძლება მოტყუვდეს კიდეც.

ხელისუფლება იძლევა საბაბს, რომ ნაციონალური მოძრაობა დაჩაგრულად წარმოჩინდეს. ტელემედიის მფლობელი ნაციონალური მოძრაობა მსოფლიოს უმტკიცებს, რომ პროდასავლური ძალაა და მას დევნიან.

***– ამის გამო ჩვენი საზოგადოება დასავლურ საზოგადოებასთან კონფლიქტში რატომ უნდა შევიდეს?***

– ხელისუფლება, საერთოდ, ანტიდასავლურ ნაბიჯებს დგამს. ეს სხვა მოვლენებშიც ჩანს. მაგალითად, ერთი მხრივ, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი დასავლეთს საყვედურობს, რუსეთის შიშის გამო ნატოში არ გვიღებთო. მეორე მხრივ, არ აგზავნის სამხედროებს ნატოს ყველაზე დიდ წვრთნებში ვარშავაში. მიზეზი სასაცილოა – თურმე, ორ ჯარისკაცს ჩუტყვავილა აღმოაჩნდა! დალოცვილებო, სხვა შენაერთი არ გყავთ, წვრთნებზე რომ



გაუშვათ? ასეთი მოქმედებებით ხელისუფლება და „ქართული ოცნება“ რუსეთის წისქვილზე ასხამენ წყალს.

დასავლეთსაც არ სჯერა ამ ხელისუფლების. გარდა ამისა, დასავლეთში არიან ღრმად ჩახედული ჩვენს შიდა ამბებში და ისინი თავის მოვალეობად თვლიან, დაეხმარონ პროდასავლურ ძალებს. ასეთებად რატომღაც ნაციონალური მოძრაობა და რესპუბლიკური პარტია ითვლებიან. სწორედ მათი მიუღებლობის გამო აუცრუვდა ბევრს გული დასავლეთზე.

***– არადა, საქართველოში დასავლური ძალები არიან.***

– საქმეც ესაა! მაგრამ ამ ძალებს არ გვეძლევა აქტიურობის საშუალება. ჩვენ, სახალხო პარტია, ვერ ვახერხებთ, რომ გადავფაროთ ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის ხმაური და დიდი ფულით მიღებული უპირატესობები.

***– ვიზალიბერალიზაციის შეფერხება როგორ იმოქმედებს საზოგადოებაზე?***

– როგორ უნდა იმოქმედოს? ამისთვის ხელისუფლებამ რა გააკეთა? რა შთაბეჭდილება უნდა ჰქონდეთ დასავლეთში საქართველოზე, როცა აქ არის ბელადების საჭიროება? სააკაშვილი პირდაპირ არწმუნებდა დასავლელ პარტნიორებს, რომ საქართველოს ბელადი და მათრახი სჭირდებოდა. ივანიშვილი აღიარებს, რომ ქვეყნის არაფორმალური მმართველია. არადა, დემოკრატია და არაფორმალური მმართველობა ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუთავსებელია. დემოკრატიას ხელს უშლის უსამართლო საარჩევნო გარემოც.

***– ევროპას მიგრანტთა კრიზისი და ტერორიზმის საფრთხეც ხომ აქვს? ეს არ არის კავშირში ვიზალიბერალიზაციასთან?***

– ევროპას რომ პრობლემები აქვს, ეს ცნობილია. მთავარია, საქართველოს ხელისუფლება იყოს სანდო. სამწუხაროდ, მას არ ენდობიან. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება წელს უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ ბევრად ადრე გაფორმდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ევროპაში ეჭვი ჰქონდათ, რომ საქართველოს ხელისუფლება ამაზე 2016 წლის ბოლოს უარს იტყოდა.

დასავლეთს უნდა, რომ ჩვენ სამართლიანი სახელმწიფო და რეალური თვითმმართველობა გვქონდეს, რომ დაცული იყოს ადამიანის უფლებები. ეს ჩვენი ინტერესიცაა. აშშ-ის დაზვერვის შეფმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მოსახლეობის მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე. მისი თქმით, მძიმე სოციალური ფონი შეიძლება გამოიყენონ რუსეთის სპეცსამსახურებმა. არაფერი კეთდება იმისთვის, რომ ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდეს. მაპსაც გარკვეული მიზეზით არ გვაძლევენ.

***– რა მიზეზით?***

– დასავლეთს აქვს შიში, რომ მაპის მიღების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება რაღაცას მოიმოქმედებს. უგუნური და გაუთვლელი ნაბიჯი 2008 წელს სააკაშვილმა გადადგა. დასავლეთს „ქართული ოცნებისაც“ არ სჯერა.

***– თუმცა, გვაიმედებს.***

– ესაა დიპლომატია. აბა, პირდაპირ ხომ არ იტყვიან, თქვენი მოქმედებებით რუსეთის წისქვილზე ასხამთ წყალსო? დემოკრატიული დასავლური ტიპის სახელმწიფოს აშენება ჩვენი პირდაპირი ინტერესი უნდა იყოს. ხელისუფლება აქეთ არ მიისწრაფვის. ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფო ტრადიციულ ღირებულებებსაც დაიცავს.

ევროპის სახალხო პარტია, რომლის პარტნიორიც ხელისუფლების ხელშეწყობით ნაციონალური მოძრაობაა, კატეგორიულად ეწინააღმდეგება ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს. ჩვენ ამ პარტიასთან დიდი ხნის კონტაქტები გვაქვს, მაგრამ მასთან ურთიერთობის საშუალება არ გვეძლევა. მისი ახლო პარტნიორია ნაცმოძრაობა, რომელიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს მხარს უჭერს. ბოლოს და ბოლოს, მოვიდა დრო, საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს დასავლურ ძალებს, რომლებიც ქართულ ღირებულებებსაც დაიცავენ.

## სამართალი

### ბათუმში ბიზნესმენი ალიკა დავითაძე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს

ბათუმში ბიზნესმენი ალიკა დავითაძე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა. დავითაძის ოჯახის წევრები ვარაუდობენ, რომ ბიზნესმენი მოკლულია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. უწყების ინფორმაციით, დანიშნულია ექსპერტიზა, რაც გარდაცვალების მიზეზს დაადგენს.

ალიკა დავითაძე აჭარაში გავლენიან ბიზნესმენად ითვლებოდა. ის ასლან აბაშიძის დროიდან მოყოლებული დღემდე არაერთ ბიზნესს ფლობდა.

დავითაძე მიხეილ სააკაშვილის დროს იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს, რისთვისაც სასჯელის სახით 5 წელი და სამი თვე ციხეში გაატარა. პატიმრობაში მყოფმა დავითაძემ საკუთარი ბიზნესი შვილიშვილს და რძალს გადასცა.

### ტყიბულში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

ტყიბულში, მერკვილაძის ქუჩაზე, 40 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს. არსებული ინფორმაციით, ის ამავე უბნის მცხოვრებმა მამაკაცმა ცივი იარაღით დაჭრა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევა მკვლელობაში ეჭვმიტანილის სახლში მოხდა. გარდაცვლილის ცხედარი ამ დროისთვის ქუთაისში ექსპერტის ბიუროშია გადასვენებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, სამართალდამცველებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი ცხელ კვალზე დააკავეს. „შსს-მ ტყიბულში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა. ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული ოთარ ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 15 ივნისს ქალაქ ტყიბულში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1974 წელს დაბადებული რამაზ ხ. ცივი იარაღით დაჭრა და მიიმალა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით)“, – განაცხადეს შსს-ში.

### მოწმე: „სისხლის კვალი ომარის და მაგდა პაპიძის სახლიდან იწყებოდა და სადარბაზოს გასასვლელამდე გრძელდებოდა“




მოწმის ინფორმაციით, 2015 წლის 19 დეკემბერს, როდესაც სადარბაზოს დერეფანში სამართალდამცველებმა შუქი აანთეს, მაგდა პაპიძისა და ომარ ქაფიაშვილის ოთახის კარიდან სადარბაზოს ბოლომდე სისხლის კვალი იყო. ამის შესახებ მოწმე ირმა მატეიჩმა მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძის საქმის განხილვისას, მოწმის სტატუსით დაკითხვისას განაცხადა.

ბრალდების მხარის მოწმემ 2015 წლის 19 დეკემბრის ღამე გაიხსენა როდესაც შემთხვევა მოხდა.

– როდესაც ხმაური გავიგე, გარეთ გამოვედი და დავინახე დარეჯან მინდიკაური ომარის ცხედართან. ომარის თავი სულ სისხლიანი ჰქონდა. შევბრუნდი უკან სასწრაფოს გამოსაძახებლად. როცა უკან დავბრუნდი, დარეჯანს უკვე თორნიკე ეჭირა ხელში, გამოვართვი და ხელოვნურ სუნთქვას ვუტარებდი, ყურები დავუზილე, მაგრამ უკვე გარდაცვლილი იყო.

ბავშვი უკვე ცივი იყო. მოვიდა სასწრაფო და პოლიცია. გვითხრეს ცხედრებს მოვშორებულიყავით. შევედით უკან სახლში. სადარბაზოს დერეფანში ბნელოდა. მერე, როცა შუქი აინთო, დავინახე სისხლის კვალი. თითქოს გამოხოხიალებული იყო ვიღაც. კვალი ომარის და მაგდას სახლიდან იწყებოდა და სადარბაზოს გასასვლელამდე გრძელდებოდა. მერე, როცა ოთახის კარი გააღეს, შევნიშნე ასევე მოთეთრო ლაქა. თითქოს რაღაც იყო მოწმენდილი ნაჩქარევად, – განაცხადა ირმა მატეიჩმა.

### ომბუდსმენი ნარკომომხმარებლებისათვის პატიმრობის შეფარდებას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს

სახალხო დამცველი ნარკომომხმარებლებისათვის პატიმრობის შეფარდებას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, სახალხო დამცველმა სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელშიც სადავოდ მიიჩნია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების კონსტიტუციურობა.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ერთ შემთხვევაში 15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა და განმეორების შემთხვევაში 1000 ლარამდე ჯარიმა და ვადით ერთ წლამდე პატიმრობა, არ შეესაბამება ამ მუხლებით გათვალისწინებული



ქმედებებისგან მომდინარე საზოგადოებრივ საფრთხეს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს, რომლებიც ადამიანს ღირსების შემლახველი და არაჰუმანური სასჯელის დაკისრებისგან იცავს.

უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენელ აუცილებელ ელემენტს ისეთი ქმედება წარმოადგენს, რისთვისაც პირმა, ერთხელ უკვე აგო პასუხი. ეს კი, სახალხო დამცველის შეფასებით, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებულ, ერთი და იმავე დანაშაულისათვის მსჯავრის განმეორებით დაკისრების აკრძალვის პრინციპს, რომ „არავის შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ქვეყანამ ჰუმანური ნარკოპოლიტიკა განახორციელოს და სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაზე მეტად რესურსები რეაბილიტაციასა და მკურნალობისაკენ მიმართოს.

**ინტერპრესნიუსის ინფორმაციები**

### ჯანმრთელობისთვის საშიში ნახევარფაბრიკატების რეალიზაციის ფაქტზე ორი პირი პასუხისგებაში მისცეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ფალსიფიკაციისა და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება – რეალიზაციის ფაქტზე, შპს „ფასანაური 2010“-ის დირექტორი იაგო ბიჩინაშვილი და ი/მ „თეონა ბუხრაძის“ ხელმძღვანელი, ნიკოლოზ ბუთხუზი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სანიტარული ნორმების დარღვევით, კუსტარულად მოწყობილ საწარმოებში ახდენდნენ ჯანმრთელობისათვის საშიში, ფალსიფიცირებული ნახევარფაბრიკატების – კატლეტის, აფხაზურას, ხინკლის, ტოლმას, ბლინის, ფარშისა და ქაბაბის დამზადებას და შემდგომში მის რეალიზაციას.

– აღნიშნულ საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე და 198-ე მუხლით, რაც სასჯელს ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 3-დან 5 წლამდე, – ნათქვამია განცხადებაში.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დაპირისპირება პატრიოტთა ალიანსში

შორენა მარსაგიშვილი

პატრიოტთა ალიანსში, რომელმაც ცოტა ხნის წინ 5 პარტიასთან ერთად საარჩევნო ბლოკი შექმნა, სერიოზული ამბები ხდება.

გუშინ, 15 მაისს, ცნობილი გახდა, რომ პარტია მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა მანუჩარ მაჩაიძემ დატოვა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ამ პარტიიდან ლიდერი მიდის. თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ პარტიიდან სოსო მანჯავიძე წავიდა.

მოხეტიალე ხმების თანახმად, თავიდან მაჩაიძეს ალიანსელებთან ურთიერთობა მანჯავიძის გამო დაეძაბა.

მანჯავიძეც და მაჩაიძეც თბილისის საკრებულოს დეპუტატები არიან და უნდათ თუ არა, ხშირად უწევთ შეხვედრა. კარგა ხნის მანძილზე ისინი ერთი პარტიის წევრები იყვნენ და მეგობრობდნენ კიდევაც, მათი მეგობრობა ალიანსიდან მანჯავიძის წასვლის შემდეგაც გაგრძელდა. ამის გამო მაჩაიძეს ალიანსში უსაყვედურეს კიდეც.

– დიდი ძმაკაცები არა ვართ მე და სოსო, მაგრამ ის კარგი კაცია. ჩვენ საკრებულოს დეპუტატები ვართ და შეხვედრა გვიწევდა. ამის გამო პარტიაში ეჭვიანობდნენ, სულ მეკითხებოდნენ, მასთან რა ურთიერთობა გაქვსო. ეს არის და ეს, ამის გამო უთანხმოება არ მოგვსვლია, – აღნიშნა „ახალ თაობასთან" საუბარში მაჩაიძემ.

მისი წასვლის მიზეზად ცოტა ხნის წინ შექმნილი საარჩევნო ბლოკიც სახელდება.

პარტიიდან წასვლის ოფიციალურ მიზეზად თავად მანუჩარ მაჩაიძე რუსთავი 2-ის წამყვანის, დიანა ჯოჯუას, მეუღლეს ასახელებს. ამბობს, რომ ალიანსის დატოვების გადაწყვეტილება 13 ივნისს მიიღო.





## რატომ დატოვა პარტია მანუჩარ მაჩაიძემ

– პატრიოტთა ალიანსის დატოვების გადაწყვეტილება ორი დღის წინ სხვადასხვა მიზეზების გამო მივიღე. არჩევნების დროს ყველა პარტიაში არის აზრთა სხვადასხვაობა. უთანხმოება საარჩევნო სიებთან დაკავშირებით მქონდა. ჩემთვის მიუღებელია, პატრიოტთა ალიანსის საარჩევნო სიაში იყოს რუსთავი 2-ის ტელეწამყვანის, დიანა ჯოჯუას მეუღლე ნიკოლოზ რამიშვილი.

მის კანდიდატურას პარტიის პოლიტსაბჭომ მხარი დაუჭირა, მე ამის წინააღმდეგი წავედი, სწორედ ეს გახდა მიზეზი პატრიოტთა ალიანსის დატოვების, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე მანუჩარ მაჩაიძემ.

მისივე თქმით, ნიკოლოზ რამიშვილი ნაციონალური მოძრაობის და ვანო მერაბიშვილის მეგობარია.

– ნაციონალების და მერაბიშვილის მეგობართან ერთად პარტიაში ვერ ვიქნები, – აღნიშნა საკრებულოს დეპუტატმა.

როგორც მანუჩარ მაჩაიძე ამბობს, ის საკრებულოში მოღვაწეობას დამოუკიდებელი დეპუტატის რანგში გააგრძელებს.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ის შესაძლოა თამაზ მეჭიაურის პარტიაში ვიხილოთ.

მაჩაიძის მიერ პარტიის დატოვებას ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი სოციალური ქსელით გამოეხმაურა.

ის ყოფილი თანაპარტიელის განცხადებას სამარცხვინოს უწოდებს. ინაშვილის მტკიცებით, მაჩაიძის წასვლის მიზეზი საარჩევნო სიაა.

– ვწუხვარ, რომ ამ თემაზე მიწევს საუბარი. ბატონი მანუჩარ მაჩაიძის განცხადება, უბრალოდ, უზნეობაა. მანუჩარ მაჩაიძემ ჩვენი პარტია დატოვა მხოლოდ იმიტომ, რომ უარი ვუთხარით საპარლამენტო სიის ხუთეულზე. მოგეხსენებათ, ბატონი მანუჩარი თბილისის საკრებულოს წევრია. მას საკრებულოში კიდევ 1 წლის სამუშაო აქვს და ჩვენ ჩავთვალეთ, რომ საპარლამენტო სიაში ის ამჯერად არც მეხუთე ნომერი უნდა ყოფილიყო და საერთოდაც არ უნდა მიეღო მონაწილეობა ამ არჩევნებში, ანუ უნდა დარჩენილიყო საკრებულოში. მანუჩარ მაჩაიძე გაბრაზდა და პარტია დატოვა. მისი საუბარი „მერაბიშვილის მეგობრებზე", უბრალოდ, სამარცხვინოა და აბსურდია, – ამბობს ინაშვილი.

ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ამტკიცებს, რომ მათ ჯერ სიის შედგენა არც კი დაუწყიათ.

– ამასთან, ჯერ ჩვენი პარტიის საარჩევნო სია არ არსებობს. არც ათეულია განსაზღვრული და არც ხუთეული. ამ ეტაპზე მკაფიოდ მხოლოდ იმისი თქმა შეიძლება, რომ ნიკა რამიშვილი არანაირ სიაში არ არის.

ძალიან ცუდია, როცა კაცი გუნდიდან მიდის და, შურისძიების მიზნით, აბსურდულ განცხადებას ავრცელებს. ცხოვრება 8 ოქტომბრის არჩევნებით არც იწყება და არც მთავრდება. სახეს თუ შევინარჩუნებთ, მხოლოდ წაადგება ადამიანურ ურთიერთობებსაც და ქვეყანასაც. სხვა კომენტარს არ თემაზე არ გავაკეთებ. ნიკა რამიშვილი არც ვანო მერაბიშვილის მეგობარია და არც ნაციონალური მოძრაობის წევრი, – აღნიშნავს ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

როგორც ამბობენ, საარჩევნო სიის ფორმირების პროცესში ალიანსი შესაძლოა კიდევ რამდენიმე ადამიანმა დატოვოს. უთანხმოება შესაძლოა მოჰყვეს მაჟორიტარების დასახელების პროცესსაც.

ალიანსში უკვე დაწყებული აქვთ მაჟორიტარების შერჩევა. საგარეჯოში ირმა ინაშვილი იქნება, აბაშაში – კონსტანტინე გამსახურდია, ნაძალადევში – კახა კუკავა.

◆ ◆ ◆

წინასაარჩევნოდ ალბათ კიდევ ბევრ პარტიაში ექნება ადგილი პოლიტიკურ გაყრას. ამ მხრივ გამონაკლისი არც ეროვნული ფორუმი აღმოჩნდა. ოფიციალურად დადასტურდა, რომ პარტია პარლამენტის წევრმა შალვა კიკნაველიძემ დატოვა.

შალვა კიკნაველიძე პარტიიდან წასვლას ადასტურებს, თუმცა წასვლის მიზეზებს არ აკონკრეტებს.

გავრცელებული ინფორმაციით, კიკნაველიძემ ეროვნული ფორუმი პარტიის პოლიტსაბჭოსთან გარკვეულ საკითხებზე შეუთანხმებლობის გამო დატოვა.

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი ანი მიროტაძე აცხადებს, რომ მისთვის უცნობია, რატომ დატოვა შალვა კიკნაველიძემ პარტია.

– შალვა კიკნაველიძე მეორე მოწვევის პარლამენტამდე ფრაქცია ეროვნულ ფორუმში რჩება. შემიძლია გითხრათ, რომ მან დატოვა ეროვნული ფორუმი, თუმცა რა მიზეზით და რა გეგმები აქვს სამომავლოდ, ჩემთვის უცნობია. ამ საკითხთან დაკავშირებით ის ალბათ უფრო კონკრეტულად ისაუბრებს. შალვა კიკნაველიძე ნამდვილად იყო ჩვენი პარტიის წევრი, ჩვენ ბევრი ბრძოლა გავიარეთ ერთად. ფიქრობს თუ არა ის პოლიტიკაში დარჩენას, ვერ გეტყვით, – განაცხადა მიროტაძემ.

შალვა კიკნაველიძე პარლამენტში დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობას იკავებდა. მან პოსტი ეროვნული ფორუმის კოალიცია „ქართული ოცნებიდან" გასვლის შემდეგ დატოვა.

# ცხინვალის პარლამენტი სომხების გენოციდის აღიარებას აპირებს

## საპასუხოდ ქართველების მიერ ოსების გენოციდის აღიარებას ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი



გერმანიის შემდეგ სომხების გენოციდი, შესაძლოა, არაღიარებულმა სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა აღიაროს. ამ თემაზე საუბარი ცხინვალში რამდენიმე თვის წინ დაიწყეს. ამ გადაწყვეტილებისკენ სამხრეთელებს თურქების მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებამ უბიძგა.

ცხინვალელი დეპუტატების ჯგუფმა მაშინვე განაცხადა, რომ ისინი რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში ყველანაირად დაეხმარებოდნენ მოსკოვს. სომხების გენოციდის აღიარება მათ საუკეთესო შურისძიებად მიიჩნიეს.

ამ განცხადებას გაგრძელება აღარ მოჰყოლია და ყველამ ჩათვალა, რომ განცხადება მხოლოდ რუსეთის გულის მოსაგებად გაკეთდა. ამ დღეებში გაირკვა, რომ სამხრეთელ დეპუტატებს განცხადება ჰაერზე არ გაუკეთებიათ და გენოციდის განხილვას ოფიციალურად იწყებენ.

როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ცხინვალის პარლამენტს გენოციდის აღიარების მოთხოვნით სომხურმა დიასპორამ ოფიციალურად 14 ივნისს მიმართა.

– ოფიციალური მოთხოვნა გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით 14 ივნისს შემოვიდა. თუმცა ჩემი და პარლამენტის თავმჯდომარის ანატოლი ბიბილოვის ინიციატივით, ამ საკითხის განხილვა უკვე დაწყებული გვქონდა. საკითხს პარლამენტის სესიაზე საკანონმდებლო კომიტეტი გამოიტანს, – განაცხადა მედიასთან საუბარში დეპუტატმა პეტრ გასიევმა.

გასიევი დარწმუნებულია, რომ პარლამენტი თურქების მიერ სომხების გენოციდის ფაქტს აღიარებს.

როგორც გაირკვა, სამხრეთელებს გენოციდის აღიარება მარტო თურქების გასამწარებლად არ უნდათ. ისინი ერევნიდან საპასუხო აღიარებას ელოდებიან.

– ჩვენი ზოგიერთი კოლეგა მიიჩნევს, რომ სომხეთის ხელისუფლებამაც უნდა აღიაროს ქართველების მიერ ოსების გენოციდი. გააკეთებს თუ არა ამას ერევანი, ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. პრინციპულად მნიშვნელოვანი ისაა, რომ აქ მცხოვრები ეთნიკური სომხები სამხრეთ ოსეთის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, – ამბობს გასიევი.

მისი თქმით, ცხინვალში მცხოვრები სომხების დიდი ნაწილი მათ რთულ პერიოდში გვერდით ედგა. გასიევის განცხადებით, მათი უმეტესობა იმ სომხების ჩამომავალია, რომლებიც გენოციდს გადაურჩნენ.

საინტერესოა, ფიქრობენ თუ არა ცხინვალში, რა შეიძლება მოჰყვეს მათი მხრიდან გენოციდის აღიარებას. ამის გამო ცოტა ხნის წინ თურქეთმა გერმანიიდან ელჩი გამოიწვია.

ცხინვალი არაღიარებული რესპუბლიკაა და აქ თურქეთს ელჩი არ ჰყავს. სამაგიეროდ, თურქეთში მრავლად სახლობენ ოსები. საუბარია დიგორებზე (ასე უწოდებენ მუსლიმ ოსებს). ისინი თურქეთში მეფის რუსეთის დროს სხვა კავკასიელებთან ერთად გადაასახლეს. გენოციდის აღიარებამ მათ შესაძლოა პრობლემები შეუქმნას.

სომეხთა გენოციდის აღიარებას ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანიაში დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდრიან.

არც იმის გაგება იქნება უინტერესო, თუ რას იზამს ერევანი ცხინვალის მიმართვაზე და აღიარებს თუ არა ქართველების მიერ ოსების გენოციდს.

ოსი დეპუტატების ეს განცხადება ერევანს უხერხულ მდგომარეობაში ნამდვილად ჩააგდებდა. სულ ცოტა ხნის წინ სომხურმა მხარემ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დევნილთა დაბრუნების შესახებ რეზოლუციას მხარი ისევ არ დაუჭირა.

# ირაკლი აბესაძე მერისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს




თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – თბილისის" თავმჯდომარე ირაკლი აბესაძის განცხადებით, 13 ივნისის მემორიალურ დაფაზე დაშვებული შეცდომის გამართლება გარდაცვლილთა ოჯახების შეურაცხყოფაა და თბილისის მერმა ამის გამო ბოდიში უნდა მოიხადოს.

– დაფის ფაციფუცით დამზადება და მასზე არსებული შეცდომის გამართლება გარდაცვლილების ოჯახებისა და მთელი საქართველოს მძიმე შეურაცხყოფაა. აუცილებელია, რომ ამის გამო თბილისის მერმა საზოგადოებას საჯაროდ მოუხადოს ბოდიში, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ თბილისის მერის სატელევიზიო კომენტარის შემდეგ, სადაც დავით ნარმანიამ 13 ივნისის მემორიალურ დაფაზე დაშვებული შეცდომის მიზეზის განმარტებისას აღნიშნა, რომ შეცდომა ფაციფუცში გაიპარა.

– ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ბოლო დღეები მაინც, როგორც წესი, ხასიათდება იმით, რომ ბევრი რაღაცა არის მოსასწრები, საორგანიზაციო და, როგორც ჩანს, ამ ფაციფუცში გაიპარა შეცდომა, – განაცხადა დავით ნარმანიამ ტელეკომპანია „იბერიის" გადაცემა „პრიორიტეტის" ეთერში და დასძინა, რომ შეცდომა უკვე გამოსწორებულია.

13 ივნისის მემორიალურ დაფაზე სიტყვა „ხსოვნის" ნაცვლად „ხსნოვნა" ეწერა.

**მედიანიუსი**



# ხელვაჩაურში 24 ადამიანის მოწამვლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ხელვაჩაურში, სოფელ სატეხიაში 24 ადამიანის მოწამვლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, ფაქტთან დაკავშირებით საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

შსს-ს ცნობით, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასაგამოძიებო მოკვლევა.

სოფელ სატეხიაში მცხოვრებლებს ინტოქსიკაციის ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები აქვთ. ერთი ვერსიით, ინტოქსიკაცია გაზიანმა სასმელმა გამოიწვია, მეორე ვერსიით კი, შესაძლოა მოწამვლა განზრახ განხორციელდა.

**ინტერპრესნიუსი**

# შაორის ტბაში ორი ახალგაზრდა დაიხრჩო

შაორის ტბაში ორი ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო. როგორც „ინტერპრესნიუსის" რეგიონული კორესპონდენტი იტყობინება, უბედური შემთხვევა დღეს დილით მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო და გადაუდებელ სიტუაციათა მართვის სამსახურის ინფორმაციით, გარდაცვლილები არიან 18 და 19 წლის ახალგაზრდები, რომლებიც, სავარაუდოდ, თევზაობდნენ.

მათივე ცნობით, ადგილობრივმა მაშველებმა შაორის ტბიდან დაღუპულთა ცხედრები ამოიყვანეს.

**ინტერპრესნიუსი**

# „რუსები აფხაზეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შემოტანას აპირებენ“

## ვახტანგ მაისაია: „პუტინს მემკვიდრე შერჩეული ჰყავს“



გულიკო ბალაძე

**რუსეთი აფხაზეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შემოტანასა და განთავსებას გეგმავს, რომელიც თურქეთისა და სირიის დაფარვას უზრუნველყოფს. ახლახან რუსეთმა სომხეთში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა განათავსა. მსგავსი სისტემები მას აქვს ცხინვალსა და აფხაზეთში.**

ამის პარალელურად, ვითარება იძაბება რუსეთის შიგნით – პუტინი „სილოვიკების“ დაჯგუფების განადგურებას ცდილობს. ამდენად, რუსეთში სამხედრო გადატრიალების პერსპექტივაც არის. სექტემბერში შეიძლება ვითარება გართულდეს. ისიც ცნობილი ხდება, რომ პუტინმა თავისი მემკვიდრე დიდი ხანია შეარჩია, რომელიც მასზე გაცილებით აგრესიული იქნება.

ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ექსკლუზიურად საუბრობს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია.

***– ბატონო ვახტანგ, რუსეთმა სომხეთში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა განათავსა. ასეთივე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები აქვს ცხინვალსა და აფხაზეთშიც. სომხეთში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა რაიმე რუსული სპეცგეგმების განხორციელებას ხომ არ ემსახურება?***

– დიახ, არსებობს რუსული სქემა, რომელიც აერთიანებს სამკუთხედურ სისტემას (ცხინვალი-აფხაზეთი-სომხეთის სამხედრო კომპონენტი), რაც რეგიონის ფორმატში ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შექმნას ემსახურება.

***– ბოლო დროს აფხაზებს თითქოს პრეტენზიები გაუჩნდათ რუსებთან. საპასუხოდ რუსებმა განაცხადეს, რომ აფხაზეთში განთავსებული რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურა რუსულ ინტერესებს კი არა, აფხაზების თავდაცვას ემსახურება. ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა აფხაზეთში რუსულ ინტერესებს არ ემსახურება?***

– ინფორმაცია აფხაზების წინააღმდეგობის თაობაზე ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება. აფხაზებს არავინ ეკითხება, რუსებს რა შეიარაღება აქვთ აფხაზეთში, იმდენად აქვთ ფესვები გადგმული. აფხაზეთში არსებული თავდაცვითი სისტემა და სამხედრო თავდაცვა მთლიანად რუსეთზეა მიბმული, რაც არ იძლევა საშუალებას, აფხაზებმა გამოთქვან პრეტენზიები. ისინი იძულებული არიან რუსული თამაში ითამაშონ.

რუსეთის ინტერესი აფხაზეთის მიმართ ბოლო დროს კიდევ უფრო გაცხოველდა. რუსებმა შავი ზღვის ფლოტის გაძლიერება დაიწყეს და ყირიმიდან სოხუმამდე ერთიანი სანაპირო თავდაცვითი სისტემა გააძლიერეს, რომ არ დაუშვან ნატოს სამხედრო კოალიციური ფლოტის შენაერთების შემოსვლა შავი ზღვის აკვატორიაში.

ბოლო დროს რუსებმა ამ მიმართულებით დამატებით გადაისროლეს 6 წყალქვეშა ნავი. ამით კიდევ უფრო გააძლიერეს შავი ზღვის ფლოტი. აპირებენ „ტაიფუნის“ ორი წყალქვეშა ნავის შეყვანას შავი ზღვის აკვატორიაში, რომელსაც შეუძლია საკმაოდ სერიოზული, დიდი, მსხვილგაბარიტიანი ბირთვული და ბალისტიკური იარაღის კომპონენტების ტარება.

ამ კუთხით რუსების გაძლიერება შავი ზღვის აკვატორიაში, პირდაპირ ემთხვევა იმ ინტერესებს, რომელთაც რუსები ამ ეტაპზე ახორციელებენ. სომხეთში ანალოგიური ელემენტის შემოტანაც ამ მიმართულებით ერთიანი სისტემის შეკვრას ემსახურება.

შემიძლია ექსკლუზიურად გითხრათ, რომ რუსები აფხაზეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შემოტანასაც აპირებენ. მათი მეშვეობით შეძლებენ დაფარონ თურქეთისა და სირიის მიმართულება.

***– რუსეთი შეძლებს, შავი ზღვის აკვატორიაში ნატოს შემოსვლას ხელი შეუშალოს?***

– რუსეთი ამ შემთხვევაში სერიოზული მოწინააღმდეგეა. ამას ნატოელებიც აღიარებენ. რუსეთი თავისი შეიარაღებული ძალების და სამხედრო ტექნიკის გადაიარაღებაზე სულ მცირე 15 წელია მუშაობს. დასავლეთს რუსეთის შეიარაღების სისტემური რეფორმები, ეფექტურობა და მართვის ელემენტები გამოეპარა, რასაც დღეს დასავლეთი დიდად ნანობს. ამიტომ დასავლეთი რუსული სტრატეგიული დარტყმების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

***– ნატომ ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში ამიტომ დაიწყო შეიარაღების განთავსება?***

– დიახ, რუსეთის შესაკავებლად ნატომ ევროპაში ამიტომ დაიწყო ახალი ტიპის შეიარაღების განთავსება.

***– ამ პირობებში დასავლეთი შეძლებს რუსეთის შეკავებას?***

– ამერიკის პოტენციალის გათვალისწინებით შეუძლებელი არაფერია. რუსეთი არ არის საბჭოთა კავშირი, რომელიც იყო გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგე. თუმცა, რუსეთსაც გააჩნია სერიოზული სამხედრო პოტენციალი. მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალები ტოლს არ უდებენ ნატოს გაერთიანებული ძალების პოტენციალს. ნატოში არიან ქვეყნები, რომლებიც ფაქტობრივად, გადაეჩვივნენ შეიარაღებული ძალების გაუმჯობესების ელემენტების გამოყენებას.

ევროპელმა მოკავშირეებმა, ფაქტობრივად, ამერიკას მიანდეს თავდაცვის მთელი ტვირთი. განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან 2015 წლამდე თითს არ ანძრევდნენ თავიანთი ქვეყნის შეიარაღებისა და სამხედრო რეფორმებისთვის.

***– დღეისთვის რუსეთი ცალკეა ამ დაპირისპირებაში დასავლეთისა და ნატოს წინააღმდეგ?***

– შეიძლება რუსეთი ცალკეა, მაგრამ მას ჰყავს თავისი მოკავშირეებიც. ბელარუსის შეიარაღებული ძალების ფაქტორი მუშაობს. არის სამხრეთით ცენტრალური აზიის ქვეყნების ფაქტორიც. რუსეთი ამ კუთხით საკმაოდ ოსტატურად მანევრირებს. ყაზახეთის შეიარაღებული ძალებიც სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. რუსეთი სამხედრო თანამშრომლობას აბამს ჩინეთთან. საინტერესოა რუსეთ-ირანის სამხედრო თანამშრომლობაც სწორედ თავდაცვის სფეროში, რომელიც სერიოზულ ძალას წარმოადგენს.

---

ვახტანგ მაისაიას განცხადებით, რუსეთის პოლიტიკურ ხელისუფლებაში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, რასაც ჩვენ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევთ. არადა, რუსეთში სიტუაცია იძაბება:

– პუტინი ცდილობს, „სილოვიკების“ დაჯგუფება გაანადგუროს. მიდის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კრემლის შიგნით, რადგან „სილოვიკების“ დაჯგუფებას პუტინი აშკარად დაუპირისპირდა. ამდენად, მოსკოვში სამხედრო გადატრიალების პერსპექტივაც არის. თავის მხრივ, პუტინმა თავისი მემკვიდრე დიდი ხანია შეარჩია. პუტინის შემცვლელი გაცილებით აგრესიული იქნება.

***– მედიაში საუბარია, ვინ შეარჩია პუტინმა შემცვლელად?***

– მედიაში ამაზე საუბარი არ არის. თქვენ შეგიძლიათ ახლა გააჟღეროთ. როგორც ყოველთვის, ჩვენ დაკავებული ვართ სხვადასხვა შოუებით და არ ვიცით, რა ხდება ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში. რუსეთში დღეს სერიოზული დაძაბულობაა. რუსეთი საკმაოდ საშიშ ზღვარზე დგას.

***– ვის ასახელებს პუტინი თავის მემკვიდრედ?***

– ამას, ჯერჯერობით, ვერ გეტყვით.

***– რატომ?***

– პრინციპში, გეტყვით – ეს არის ალექსანდრ დემინი.

***– ძალოვნების წარმომადგენელია?***

– დემინი სამხედროების წარმომადგენელია.

***– „სილოვიკებთან“ პუტინს რა წინააღმდეგობა აქვს?***

– ეს დახურული ინფორმაციაა. რაზე მოუვიდა უთანხმოება პუტინს თავის უშუალო გარემოცვასთან, ამ ეტაპზე უცნობია. დაუზუსტებელი ინფორმაცია მაქვს და არ გავახმოვანებ. თუმცა, დაპირისპირება სერიოზულია. სექტემბერში მოსკოვში შეიძლება სიტუაცია გართულდეს.

***– შიდა დაპირისპირება შეიძლება რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე აისახოს?***

– რა თქმა უნდა. თუ პუტინი დაამარცხებს „სილოვიკების“ დაჯგუფებას, ან პუტინის დაჯგუფებასა და „სილოვიკების“ დაჯგუფებას შორის დაპირისპირება საშიშ ფაზაში შევიდა, შეიძლება მოვლენები გახდეს არაპროგნოზირებადი, უმართავი. აგრესიული პუტინი რას გააკეთებს, პროგნოზი რთულია.

***– შეიძლება რუსეთმა თავის საგარეო გამოწვევებს სათანადოდ ვერ უპასუხოს?***

– არა მგონია. საგარეო გამოწვევებზე ამ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის თანხმობაა. განსხვავებულია მეთოდები და გზები. შიდა პოლიტიკური დაპირისპირებაა. არ ვიცი, რატომ დაუპირისპირდა პუტინი თავის მომხრეებს, ან რამ აიძულა ეს ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ დაპირისპირება რომ არსებობს, ფაქტია. შიდა დაპირისპირებას, აგრესიული ელემენტი შეაქვს კრემლის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, რაც პირდაპირ აისახება რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე. მთავარია, ჩვენ არ მოვყვეთ ამ პროცესში.

***– „სილოვიკების“ დაჯგუფებას ვინ ჰყავს?***

– ნიკოლაი პატრუშევი, ვიქტორ ივანოვი და იგორ სეჩინი. მათთან არის ფედერალური უშიშროების სამსახურის დირექტორი პორტნიკოვი.

***– ანუ პუტინს საკმაოდ ძლიერი ჯგუფები უპირისპირდებიან.***

– კიდევ სხვა დაჯგუფებებიც არის. პუტინმა დაიწყო უშუალოდ თავისი გარემოცვის შექმნა, საკუთარი სპეცსამსახურის ჩამოყალიბება. ის, ფაქტობრივად, ფსონს დებს შეიარაღებულ ძალებზე, რომ მესამე-მეოთხე ვადით დარჩეს.

# ლუკა კურტანიძე: „კრიმინალი ყველა ქვეყანაში არის, ეს თანმდევია სახელმწიფოსი“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ლუკა კურტანიძის განცხადებით, ვიზის ლიბერალიზაცია, როგორც მიზანი, ეტაპობრივად მიღწევადია.

– მთავარია, რომ ჩვენ სურვილი გვაქვს, ყველა მოთხოვნა შევასრულოთ ზედმიწევნით, – განაცხადა კურტანიძემ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, ახლა ყველა პოლიტიკური პარტია თავის სასარგებლოდ იყენებს ამ საკითხს.

– ყველაფერს აქვს თავისი დრო და როდესაც საქართველო ყველა თავისი კომპონენტით იქნება მზად, მიიღებს ვიზის ლიბერალიზაციას. კრიმინალი ყველა ქვეყანაში არის. ეს თანმდევია სახელმწიფოსი, მაგრამ გააჩნია, რა რაოდენობით. ეს არის გაბუქებული მიზეზი. ჩვენ უფრო გლობალური პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელი, რომლის წინაშეც თვითონ ევროპაც დგას, – განაცხადა ლუკა კურტანიძემ.

**მედიანიუსი**

# ვახტანგ ხმალაძე: „სპეკულაცია, რომ სტრასბურის სასამართლომ პოლიტიკურ პატიმრად ცნო მერაბიშვილი, არასწორია“



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, სპეკულაცია იმაზე, რომ სტრასბურის სასამართლომ ექს-პრემიერი ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად ცნო, არასწორია.

ხმალაძის თქმით, სასამართლომ მიმართვები დასაბუთებულად არ მიიჩნია, ამიტომ, ამ საკითხთან დაკავშირებით, არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია.

**ვახტანგ ხმალაძე:**

– სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ არ მიიღო სარჩელის ის ნაწილი დასაშვებად, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ვანო მერაბიშვილი არის პოლიტიკური პატიმარი. არ მიიჩნიეს მიმართვები დასაბუთებულად. ფაქტობრივად, გამაგრებულად. ამიტომ, ამ საკითხზე სასამართლომ არანაირი გადაწყვეტილება არ მიიღო. სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ სტრასბურის სასამართლომ პოლიტიკურ პატიმრად ცნო ვანო მერაბიშვილი, არ არის სწორი, – განაცხადა ხმალაძემ.

**პირველი**



# ირაკლი სესიაშვილი: „ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს, ვიზალიბერალიზაციის პროცესი გაახანგრძლივოს“

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს მოლოდინი აქვს, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას არჩევნებამდე მიიღებს.

„პირველთან“ საუბრისას სესიაშვილი არ გამორიცხავს, რომ ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებაც არჩევნებამდე მოხდეს.

კომიტეტის თავმჯდომარე სპეკულაციებს უწოდებს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი ვიზალიბერალიზაციის პროცესის გადადებას კორცხელის ინციდენტს უკავშირებს.

ირაკლი სესიაშვილი:

– ყველა პოლიტიკურ სპეკულაციას ბოლო უნდა მოვუღოთ. ამბობენ, თითქოს, ეს პროცესი კორცხელის ინციდენტს უკავშირდება. ეს არის თითიდან გამოწოვილი მათი ილუზიები.

ჩვენი ვალდებულებები შევასრულეთ – მეტიც, ფაქტობრივად არ არსებობს არგუმენტი, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციაზე უარი ეთქვას. ეს დადასტურდა კიდეც პარლამენტის თავმჯდომარის გერმანიაში ვიზიტის დროს. ახლა, პრემიერის და პრეზიდენტის ვიზიტებია, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ საქართველოსთან მიმართებაში არანაირი პრეტენზიები არ აქვთ. გულწრფელები უნდა ვიყოთ, საერთაშორისო პოლიტიკური მოცემულობა რთულია – გერმანია-თურქეთის ურთიერთობა; უკრაინას ვალდებულებები არ აქვს შესრულებული; ლტოლვილების პრობლემა, რაზეც ევროპის ზოგიერთი ქვეყანა დარდობს.

ამ ფონზე, როგორც ჩანს, ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს, რომ ეს პროცესი გაახანგრძლივოს. ჩემი მოლოდინია, რომ საქართველოსთან მიმართებაში, გადაწყვეტილება არჩევნებამდე, სავარაუდოდ, სექტემბრის თვეში იქნება მიღებული. არ გამოვრიცხავ, რომ მისი ამოქმედება არჩევნებამდეც მოხდეს. ფაქტია, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესის გაჭიანურება საგარეო პოლიტიკის მდგომარეობიდან გამომდინარეობს. საფრანგეთს და გერმანიას ჩვენთან პრეტენზიები არ აქვთ. კრიმინალთან დაკავშირებით, ვფიქრობ, მოუმზადებელი არგუმენტები ჰქონდათ. სიტუაციაში როდესაც გაერკვნენ, ფაქტობრივად, მოიხსნა პრობლემები. თქვენ იცით, რომ რამდენიმე მედიასაშუალებამ გერმანიაში არასწორი ინფორმაცია გაავრცელა და მათ შემდგომ ბოდიში მოიხადეს.

**პირველი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# პუტინმა კიდევ ორი უკრაინელი პატიმარი გაათავისუფლა




რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კიდევ ორი უკრაინელი პატიმარი, სოლოშენკო და აფანასიევი შეიწყალა. სანაცვლოდ უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ გაათავისუფლა ორი ოდესელი სეპარატისტი, რომლებიც ე.წ. ბესარაბიის რესპუბლიკის გამოცხადებას აპირებდნენ.

ნადეჟდა სავჩენკოსგან განსხვავებით, სოლოშენკომ და აფანასიევმა შეწყალების თაობაზე თხოვნა დაწერეს. სავჩენკოს შემთხვევაში ეს გააკეთეს დაღუპული რუსი ჟურნალისტების ახლობლებმა, რომლებიც მკვლელობაში სავჩენკოს სრულიად უსაფუძვლოდ დებდნენ ბრალს.

– პუტინის აღნიშნული ნაბიჯი დასავლეთის ზეწოლითაა განპირობებული. რუსეთის პრეზიდენტი ყოველმხრივ ცდილობს სანქციების შესუსტებას, შემდეგ კი გაუქმებას მიაღწიოს, – აცხადებს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

პოლიტოლოგის აზრით, პუტინი შეეცდება, აფანასიევსა და სოლოშენკოს გათავისუფლება დონბასში პროგრესად გაასაღოს.

– ანგელა მერკელმა ხომ განაცხადა, თუკი დონბასში პროგრესი დაიწყება, სანქციებს შევასუსტებთო. რუსი ექსპერტებიც ამის თაობაზე წამდაუწუმ გაჰყვირიან, თუმცა არ მესმის, რა კავშირი აქვს აფანასიევისა და სოლოშენკოს გათავისუფლებას დონბასთან! ეს ხომ სულ სხვა საკითხია, – ამბობს პორტნიკოვი.

# რუსებმა აშშ-ს დემოკრატიული პარტიის კომპიუტერში შეაღწიეს




რუსეთის სამხედრო დაზვერვამ (გრუ) აშშ-ს დემოკრატიული პარტიის კომპიუტერულ ქსელში შეაღწია. რუსებმა შეძლეს ზუსტი კოპირება ტრამპზე შედგენილი დოსიესი, რომელიც დემოკრატიული პარტიის ექსპერტებმა შეადგინეს და ხსენებულ კომპიუტერებში ინახებოდა.

პუტინის რუსეთი ცივილიზებული მსოფლიოს მთავარ პრობლემად გადაიქცა. დიდი ბრიტანეთის პარლამენტში გაიმართა მოსმენები თემაზე, როგორ მოვექცეთ რუსეთს? დეპუტატებმა სხვადასხვა მოსაზრებები გამოთქვეს, თუმცა ყველა ერთსულოვანი იყო ერთში: რუსეთის აგრესიის შეჩერება აუცილებელია, საამისოდ უნდა შემუშავდეს როგორც სტრატეგია, ასევე ტაქტიკა.

– ჩვენ რუსეთთან ურთიერთობების გაუარესება არ გვსურს. ეს რუსეთი ახორციელებს აგრესიას, ამიტომ იძულებულნი ვართ, თავი დავიცვათ, – ამბობს ინგლისის პარლამენტის დეპუტატი მაიკლ გაილსი.

# დე მეზიერი: „ტერაქტების საფრთხე რეალურია“




გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა დე მეზიერმა განაცხადა, რომ ზაფხულის დადგომასთან ერთად ტერაქტების საფრთხე გაიზარდა.

– ჩვენ გაგვაჩნია ინფორმაცია, რომ მოსალოდნელია ტერორისტების მკვეთრი გააქტიურება. ეს საფრთხე არა მხოლოდ გერმანიას, არამედ მთელ ევროპას ემუქრება, – თქვა დე მეზიერმა.

გერმანიის შს მინისტრმა მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდა. მან აღნიშნა, რომ ხალხის აქტიური დახმარების გარეშე ტერორისტებთან ბრძოლა შეუძლებელია.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ფრანგი პოლიციელის მკვლელს შავი სია აღმოუჩინეს



დადგენილია ტერორისტის ვინაობა, რომელმაც ფრანგი პოლიციელი მოკლა. ეს აღმოჩნდა ვინმე აბალა, რომელიც ექსტრემისტებთან კავშირში ადრეც იყო შემჩნეული. პაკისტანურ ჯიჰადისტურ დაჯგუფებასთან კავშირის გამო აბალამ თავის დროზე სასჯელიც მოიხადა.

ის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო, მაგრამ ტერაქტი მაინც განახორციელა.

აბალა ფრანგულ სპეცრაზმთან შეტაკებისას დაიღუპა, მაგრამ მან მოასწრო პოლიციელის და მისი ცოლის მოკვლა.

ტერორისტის ბინის ჩხრეკისას პოლიციამ ე.წ. „შავი სია“ აღმოაჩინა, სადაც იყვნენ ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც, აბალას აზრით, ლიკვიდაციას ექვემდებარებოდნენ.

# ემბერ ჰერდის თქმით, დეპი სასამართლოს დადგენილებას არღვევს



ამერიკელმა მსახიობმა ემბერ ჰერდმა პოლიციაში განაცხადა, რომ მისმა მეუღლემ ჯონი დეპმა დაარღვია აკრძალვა, რომლის თანახმადაც მას უფლება არ აქვს 100 იარდზე (დაახლოებით 90 მეტრი) ნაკლებ მანძილზე მიუახლოვდეს. მსახიობმა ასევე განაცხადა, რომ ის ადამიანები, რომლებიც დეპიზე მუშაობენ, შეეცადნენ იმ სახლში შესულიყვნენ, სადაც ის ცხოვრობს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავად დეპი შემთხვევის დროს ადგილზე არ იმყოფებოდა. ის ბაჰამის კუნძულებზე იმყოფება. მსახიობის თანაშემწე წყვილის სახლთან მივიდა, რათა მისი პირადი ნივთები წამოეღო, რომლებიც ჰერდთან დაშორების შემდეგ ბინაში დარჩა. აღსანიშნავია, რომ აკრძალვა მიახლოვებაზე, რომელიც ლოს-ანჯელესის სასამართლომ 2016 წლის მაისში დაადგინა, დეპს უფლებას აძლევს, საქმის განხილვამდე წამოიღოს საკუთარი ნივთები.

სოციალური ქსელების მომხმარებელთა აზრით, ჰერდისგან პოლიციაში დარეკვა და განცხადების გაკეთება, უბრალოდ, საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ემსახურება და რომ ის უცნაურ განცხადებებს აკეთებს და უცნაური ქცევითაც გამოირჩევა.


## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


# პრინცი უილიამი გეი-ჟურნალისთვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღებს მონაწილეობას



ბრიტანეთის პრინცმა უილიამმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს პოპულარული გეი-ჟურნალისთვის გამართულ ფოტოსესიაში. ამის თაობაზე განცხადება გააკეთა ასოციაციის ხელმძღვანელმა კრეგ პეტიმ, რომელიც სექსუალური უმცირესობების უფლებებს იცავს.

მისი თქმით, პრინცმა შესთავაზა ფოტოსესია მოეწყოს მის მეუღლესთან ერთად ამერიკის საელჩოში სტუმრობისას, სადაც ისინი ორლანდოში მომხდარი ტრაგიკული მოვლენის მისასამძიმრებლად იყვნენ მისულნი.

კენსინგტონის სასახლის წარმომადგენელს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა იმავე დროს აღნიშნა, რომ მოხარული იქნება თუ უახლოეს მომავალში ამაზე იმსჯელებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

● ვყიდი ხის ფანჯრებს. ტელ: 557-68-83-43.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ისლანდია არაფერს თმობს, უნგრეთმა ავსტრიას სძლია

**ფ ჯგუფი**

**ავსტრია-უნგრეთი 0:2**

**ბორდო.** სტად დე ბორდო
0:1 შალაი (62), 0:2 შტიბერი (87)

**ავსტრია:** ალმერი, დრაგოვიჩი, ჰინტერეგერი, კლეინი, ფუჩსი, გაუმგარტლინგერი, ალაბა, იუნუზოვიჩი (საბიტზერი 59), ჰარნიკი (შჰოფი 77), არნაუტოვიჩი, იანკო (ოკოტე 65)

**უნგრეთი:** კირალი, ლანგი, გუზმიცსი, ფიოლა, კადარი, გერა, კლეინჰესლერი (შტიბერი 79), ნაგი, ნემეტი (პინტერი 79), ჯუჯაკი, შალაი (პრისკინი 69)

**გაძევება:** დრაგოვიჩი (66)

ავსტრიელებმა შესანიშნავად გაიარეს შესარჩევი ეტაპი და ამ მატჩში ფავორიტებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ მეზობელმა უნგრელებმა ფეხი დაუდეს კოლერის შეგირდებს და სპეციალისტთა აზრი წყალს გაატანეს.

არადა, შესაძლო იყო, ყველაფერი ლოგიკურად განვითარებულიყო – წამზომის ისარს ჯერ წრეც არ ჰქონდა მოხაზული, როდესაც ალაბამ ძელს გაარტყა ბურთი. უნგრელებმა ამ შეტევის შემდეგ კიდევ ცოტა ხანს გაუძლეს ავსტრიელთა შეტევებს და უკვე თავად გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე. ტაიმის ბოლო ისევ ავსტრიელების იყო – მადიარებმა ამას გაუძლეს.

შესვენების შემდეგ კი მოედანზე მარტო ერთი გუნდი ჩანდა – უნგრეთის ნაკრები და საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

ჯერ იყო და კლიანჰაისლერმა და შალაიმ იოლად გახვრიტეს ავსტრიელთა დაცვა და ანგარიში გახსნა, ხოლო რამდენიმე წუთში მოედნიდან დრაგოვიჩი მიაბრძანეს, რომელმაც უმძიმეს მდგომარეობაში დატოვა თანაგუნდელები.

ავსტრიამ გასათანაბრებლად გაიწია, მაგრამ საამისოდ ზურგი მოაშიშვლა, რითიც რამდენჯერმე ვერ ისარგებლეს უნგრელებმა, თუმცა შეცვლაზე შესულმა შტიბერმა თავისი შანსი მაინც გამოიყენა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავსტრიელებმა უნგრელებს ბოლოს შორეულ, 1934 წელს მოუგეს და მას შემდეგ გამართულ 15 მატჩში ამის გაკეთებას ველარ ახერხებენ.

უნგრეთის ნაკრების 40 წლის გოლკიპერმა გაბორ კირალიმ რეკორდი დაამყარა. ის ევროპირველობის ისტორიაში ყველაზე მხცოვანი ფეხბურთელი გახდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ზოლტან გერა**

ვეტერანმა ფეხბურთელმა ცენტრი დაისაკუთრა და საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან ყველაფერს წმენდდა. პარალელურად, დისპეტჩერის როლიც შეითავსა და სიღრმიდან იწყებდა საკუთარი გუნდის შეტევებს. რამდენჯერმე თავადაც დაემუქრა ავსტრიელთა კარს.

**პორტუგალია-ისლანდია 1:1**

**სენტ ეტიენი.** ჟოფრი გიშარი
1:0 ნანი (31), 1:1 ბ.ბიარნასონი (50)

**პორტუგალია:** პატრისიო, რ.კარვალიო, პეპე, გერერო, ვეირინია, დ.პერეირა, მოუტინიო (სანჩესი 71), მარიო (კვარეზმა 76), გომეში (ედერი 84), ნანი, რონალდუ

**ისლანდია:** ჰალდორსონი, არნასონი, რ.სიგურდსონი, სევარსონი, სკულასონი, გ.სიგურდსონი, გუნარსონი, გუდმონდსონი (ე.ბიარნასონი 90), ბ.ბიარნასონი, ბოდვარსონი, სიგტორსონი (ფინბოგასონი 81)

რადგან ისლანდიის ნაკრებს არ ჰყავს 100-მილიონიანი ფეხბურთელი, პორტუგალიასთან ნათამაშები ფრე უმალ სენსაციად შეირაცხა. თუმცა, არავის გახსენებია კუნძულელთა თამაში შესარჩევ ჯგუფში, სადაც უკან მოიტოვეს ჰოლანდიისა და თურქეთის ნაკრებები.

როგორც მოსალოდნელი იყო, პორტუგალია უფრო უტევდა, ხოლო ისლანდია მშვიდად იცავდა თავს და სწრაფი კონტრშეტევებით მიახვედრა მეტოქე, რომ მათთან ხუმრობა არ შეიძლება. პორტუგალიამ და დაცვის




ოთხეულმა მაინც „იხუმრა" მე-2 ტაიმში, როდესაც ბირკირ ბიარნასონს გოლის გატანის უფლება მისცა.

პირველ ტაიმში კი პორტუგალია დაწინაურდა. 31-ე წუთზე ისლანდიელთა მეკარემ ვერ გადაარჩინა გუნდი, როდესაც ნანიმ ძალიან ახლოდან დაურტყა. თუმცა, გოლის გაშვებაში ისლანდიელთა მეკარეს არანაირი ბრალი არ მიუძღვის. მეტიც, მანამდეც და შემდეგაც საუკეთესო იყო თავის გუნდში.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჰანეს ჰალდორსონი**

დასამახსოვრებელი სახელი და გვარია. უშეცდომოდ ჩაატარა მთელი მატჩი. რამდენიმე „მკვდარი" ბურთიც მოიგერია. განსაკუთრებული იყო ნანის თავური დარტყმის შედეგად გაკეთებული სეივი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნგრეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2.ისლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 3.პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4.ავსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

# რეალის სატრანსფერო გეგმები



მიმდინარე სატრანსფერო სეზონზე მადრიდის რეალის „გაგიჟებას" ელიან. კლუბის პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა ახალი გეგმა დასახა.

პერესს კარგად მოეხსენება, რომ იუვენტუსს ალვარო მორატას შენარჩუნება სურს. ამასთანავე ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობა მატეო კოვაჩიჩის დამატებითაც არის დაინტერესებული.

აქედან გამომდინარე, ფლორენტინომ „იუვეს" ახალი წინადადებით მიმართა, რომლის მიხედვითაც, მადრიდული მხარე მზად არის, მორატა ტურინში დატოვოს, ასევე უარი თქვას კოვაჩიჩზეც და პლუს 20 მილიონი ევრო გადაიხადოს, სანაცვლოდ კი პოლ პოგბა რეალის ფეხბურთელი უნდა გახდეს.

ეს ყველაფერი არ არის – რეალმა წინადადებით მიმართა მიუნხენის ბაიერნს და ავსტრიელი ფეხბურთელის, დავიდ ალაბას შეძენაზე ესაუბრა.

ბაიერნმა რეალს პასუხი გასცა – გერმანული კლუბი მზად არის, დავიდ ალაბას შეელიოს, მაგრამ ფლორენტინო პერესმა ბიუჯეტს 80 მილიონი ევრო უნდა მოაკლოს.

„რეკორდმაისტერის" ხელმძღვანელობა ასევე დასძენს, რომ სხვა წინადადებას არ განიხილავს.

# პირველი ეტაპის სიმბოლური



საფრანგეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის პირველი წრე დასრულდა. შესაბამისად პირველი წრის სიმბოლური ნაკრებიც დასახელდა.

2-2 ფეხბურთელი მოხვდა გერმანიისა და იტალიის ნაკრებიდან, თითო ფეხბურთელით შეავსეს სიმბოლური ნაკრები შვეიცარიელმა, ხორვატმა, რუსმა, უნგრელმა, ესპანელმა, ფრანგმა და უელსელმა ფეხბურთელებმა.

სიმბოლური გუნდი ასე გამოიყურება:

მეკარე: იან ზომერი (შვეიცარია);

მცველები: ჯერომ ბოატენგი (გერმანია), ვასილი ბერეზუცკი (რუსეთი), ლეონარდო ბონუჩი (იტალია);

ნახევარმცველები: ზოლტან გერა (უნგრეთი), ლუკა მოდრიჩი (ხორვატია), ტონი კროოსი (გერმანია), ანდრეს ინიესტა (ესპანეთი), დიმიტრი პაიე (საფრანგეთი);

თავდამსხმელები: გრაციანო პელე (იტალია), გარეთ ბეილი (უელსი).

## შედეგები

**14 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

ავსტრია-უნგრეთი ........................ 0:2
პორტუგალია-ისლანდია ............... 1:1

**კოპა ამერიკა**

ჩილე-პანამა ..................................... 4:2
არგენტინა-ბოლივია ...................... 3:0

**აფრიკა. ერთა თასი**

ანგოლა-ლესოტო .......................... 0:2
მავრიტანია-მალავი ........................ 0:1

# მანუელ ნოიერი: „პოლონეთი უნდა ვაიძულოთ, რომ დაცვაში ჩადგეს"

გერმანია-უკრაინის (2:0) მატჩის შემდეგ, უეფამ საუკეთესო ფეხბურთელად ტონი კროოსი დაასახელა, ჩვენ კი ეს პატივი მანუელ ნოიერს ვარგუნეთ. როგორც ჩანს, ნოიერის კარგი თამაში მარტო ჩვენ არ შეგვიმჩნევია და გერმანელი ჟურნალისტების ყურადღების ქვეშაც მოექცა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნოიერს დიდ ტურნირზე პირველად ეკეთა კაპიტნის სამკლავური და ეს შეხვედრაც ისე ჩაატარა, როგორც ნამდვილ კაპიტანს ეკადრება.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გერმანულ „კიკერში" გამოქვეყნდა.

***– გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო. უკრაინასთან ყველაფერი ისე იყო, როგორც ელოდით და ისურვებდით?***

– შედეგი ნამდვილად ისეთი დაფიქსირდა, როგორსაც ველოდით და როგორიც გვინდოდა. დიდი ტურნირის ასე დაწყება ყოველთვის ძალიან კარგია. ზოგადადაც, გერმანიის ნაკრებმა კარგად ითამაშა. მთავარია, პოზიტივი უნდა დავინახოთ. თუმცა უკეთ თამაშიც შეგვიძლია და ამასაც ვხედავთ. ჩვენს გუნდს გაცილებით მეტი რესურსი აქვს და ეს მომდევნო შეხვედრებში გამოჩნდება.

***– თუმცა, პირველ ტაიმში დაცვაში იყო ხარვეზები.***

– საქმე ის არის, რომ ჩვენი კარისკენ ზედმეტად ბევრი სტანდარტული დაინიშნა და ეს ცუდია. თუმცა, საერთო ჯამში, დაცვაშიც კარგად ვიდექით და უკრაინელებს ბევრის უფლება არ მივეცით.

***– გასაგებია, რომ არ გსურთ, მცველებს უსაყვედუროთ, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდის გადარჩენა არაერთხელ მოგიხდათ.***



– გითხარით, რომ ბოლომდე კმაყოფილები არ ვართ. უკრაინელებმა ჩვენს კართან რამდენიმე მომენტი შექმნეს და გოლის გატანაც შეეძლოთ. კარგია, რომ ეს ვერ მოახერხეს და ამაში ჩემი წვლილიც შევიტანე. აი, მეორე ტაიმში კი გაცილებით უკეთ გამოვიყურებოდით. უფრო მშვიდად და წყნარად ვაკონტროლეთ ბურთი.

***– ბასტიან შვაინშტაიგერი შეცვლაზე შემოვიდა, კონტრშეტევაზე სწრაფად გაიქცა, გოლი გაიტანა.***

– ყველამ ნახა, რომ შვაინშტაიგერი ფორმაშია. ალბათ, უნდოდა, მწვრთნელისთვის ეჩვენებინა, რომ არც ზანტია და სირბილიც ჯერ კიდევ შეუძლია. იმედი მაქვს, რომ მალე დაბრუნდება ძირითად შემადგენლობაში და დაამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ ძალიან მაგარი ფეხბურთელია. სიმართლე გითხრათ, შვაინშტაიგერის გოლმა განსაკუთრებით გამახარა.

***– მომდევნო მატჩი ხუთშაბათს, პოლონეთთან გელით და საქმე თანაკლუბელ რობერტ ლევანდოვსკისთან გექნებათ. რას უნდა ველოდოთ ამ შეხვედრაში?***

– პოლონეთის ნაკრებს ძალიან კარგად ვიცნობთ, საკვალიფიკაციო ეტაპზე მათ წინააღმდეგ ორჯერ ვითამაშეთ და ვიცით, რაც შეუძლიათ. ისიც ვიცით, რომ პოლონეთის ნაკრები ძალიან სახიფათოა, ლევანდოვსკის სახით კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ჰყავთ, მაგრამ პოლონეთის ნაკრები მხოლოდ ლევანდოვსკი არ არის – ხომ ნახეთ, გოლი მილიკმა გაიტანა. გარდა ამისა, პოლონელებს ძალიან კარგი გარემარბებიც ჰყავთ და ფლანგის მცველებიც უვარგათ. მაგალითად, ლუკაშ პიშჩეკი... არ უნდა დაგვავიწყდეს ბლაშჩიკოვსკიც... მილიკს ძალიან კარგი საგოლე ალღო აქვს, კრიხოვიაკი კი ბრწყინვალე ჩამშლელია. პოლონეთი უნდა ვაიძულოთ, რომ დაცვაში ჩადგეს და ვერ შემოგვიტიოს.

# დუნგა ბრაზილიას აღარ გაწვრთნის



ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილებით დუნგამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ამის მიზეზი „კოპა სენტენარიოზე" „სელესაოს" ჯგუფში ჩარჩენაა.

– „კოპა სენტენარიოზე" განცდილი კრახის შემდეგ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია გამცნობთ, რომ კარლოს დუნგა, მისი ასისტენტი ჟილმარ რინალდი და სამწვრთნელო შტაბის სხვა წევრები დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ. ჩვენ სამივე მათგანს მადლობას ვუხდით გაწეული სამუშაოსთვის, ახლა კი ახალი მწვრთნელის ძიებაში ვართ, – ნათქვამია ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიამ აშშ-ში მიმდინარე გათამაშების ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია და ნაადრევად დაემშვიდობა გათამაშებას.

დუნგა ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს 2014 წლიდან ხელმძღვანელობდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ავსტრალიაში ოქროსფერი თხუნელა აღმოაჩინეს



ავსტრალიის უდაბნო გიბსონში ერთ-ერთი ადგილობრივი საზოგადოების წევრებმა უიშვიათესი ჩანთოსანი ოქროსფერი შეფერილობის თხუნელა აღმოაჩინეს. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოაქვეყნეს, რომელიც ამ მომენტისთვის 130 ათასზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად თხუნელამ წინ გადაურბინა ორგანიზაცია ტჯამუ ტჯამუ აბორიგენალ კორპორათიონის ავტომობილს. მანქანაში მსხდომებმა ის სავალი გზიდან მოშორებით, უფრო მეტად უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს, რის შემდეგაც ის მიწის სიღრმეში გაუჩინარდა. ადგილობრივების თქმით, ოქროსფერი თხუნელას ნახვა უდიდეს იშვიათობას წარმოადგენს.

# „ყველაზე ლამაზი დამნაშავე“ მოდელი გახდა



ამერიკელი ჯერემი მიკსი, რომლის ფოტოსურათმაც სოციალურ ქსელებში ქალების გულები დაიპყრო, მოდელი გახდა. მან თავისი პირველი ფოტოსურათი ახალ ამპლუაში გადაღებული, სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

32 წლის მამაკაცის აკაუნტს სოციალურ ქსელში 260 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. მიკსის პირველი პროფესიონალური ფოტოსესიის პირველმა კადრმა 24 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიკსმა კონტრაქტი გააფორმა სამოდელო სააგენტო უაიტ ქროსს მენეჯმენტთან და ეს მისი პირველი ფოტოსესია იყო.

შეგახსენებთ, რომ მიკსი 2014 წელს ქალაქ სტოკტონის პოლიციამ დააკავა იარაღის უკანონოდ შენახვისთვის, ხოლო გასულ წელს მას 27 თვიანი პატიმრობა მიესაჯა. თუმცა საპატიმროში კარგი ქცევისთვის ის ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. პოპულარობა კი მიკსს სოციალურ ქსელში პოლიციის განყოფილების მიერ დაკავების შემდეგ გამოქვეყნებულმა მისმა ფოტოსურათმა მოუტანა და სამოდელო სააგენტოებიც სწორედ მაშინ დაინტერესდნენ ლამაზი დამნაშავით.

# კენგურუს კაფე მოეწონა



ავსტრალიის ქალაქ მელბურნში მდებარე კაფე გოლდენ კოფე ჰაუსში დილით ადრე კენგურუ აღმოაჩინეს. დაწესებულების სტუმრებმა ცხოველების მაშველთა სამსახურში დარეკეს და შემთხვევის თაობაზე აცნობეს. სამსახურის თანამშრომლები ადგილზე მივიდნენ და ცხოველს კაფეს დატოვებაში დაეხმარნენ.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში ორგანიზაციის გვერდზე იქნა განთავსებული და ის უკვე 16 ათასზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ერთ-ერთმა მოხალისემ კენგურუ პლედის დახმარებით დაიჭირა, რომლის დროსაც გაირკვა, რომ ცხოველს მსუბუქი დაზიანებები ჰქონდა მიღებული, როდესაც ის შენობიდან გასვლას თავად ცდილობდა. ვეტერინარებმა კენგურუს საჭირო დახმარება აღმოუჩინეს და შემდეგ ბუნებაში გაუშვეს.

# ბრიტანეთში ყველაზე ხნიერი ძაღლი მოკვდა



დიდ ბრიტანეთში კორნუოლის საგრაფოში მოკვდა ძაღლი სახელად იენტლი, რომელიც ქვეყნის ყველაზე უხუცეს ძაღლად ითვლებოდა. ის 24 წლის იყო, რაც ადამიანის ასაკზე გადაანგარიშებით 168 წელს უდრის.

იენტლი ჯეკ-რასელ-ტერიერისა და კოლის ნარევი იყო. მისმა პატრონებმა ჩარლი და მარლენ მარტინებმა ის 1991 წელს 15 ფუნტად მისი ადრინდელი პატრონისგან იყიდეს, რომელიც იმუქრებოდა, რომ ლეკვს მოკლავდა, თუ მას სხვა პატრონი არ გამოუჩნდებოდა.

ძაღლს იენტლი დაარქვეს ბარბარა სტრეიზანდის ამავე სახელწოდების ფილმის პატივსაცემად, რომელიც 1983 წელსაა გადაღებული.

იენტლიმდე ბრიტანეთის ყველაზე ხანდაზმულ ძაღლად 25 წლის ჯეკ-რასელ-ტერიერი ითვლებოდა, რომელიც სომერსეტში ბინადრობდა და 2014 წელს მოკვდა.

# ცხრა წლის ამერიკელი რეკორდსმენი გახდა

ცხრა წლის ამერიკელმა ჯეიმს სევიჯმა რეკორდი დაამყარა, მან სან-ფრანცისკოდან კუნძულ ალკატრასამდე გაცურა და უკანვე დაბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ ბავშვს ამ გაცურვის განხორციელებაში ხელი ვერ შეუშალა ვერც ძლიერმა დინებამ და ვერც ცივმა წყალმა. ამასთან



თავად რეკორდსმენმა აღიარა, რომ პირველი ნახევარი საათის განმავლობაში წყლის ტალღებმა, რომლებიც სახეზე ეხლებოდნენ, კინაღამ ხელი ააღებინა განზრახვაზე.

ამ რეკორდის დამყარებისთვის ბავშვს მამამ ჯილდოს სახით ჯერ 100, შემდეგ კი 200 დოლარი შესთავაზა.

რეკორდულ გაცურვას ცხრა წლის ბიჭმა ორ საათზე ოდნავ მეტი დრო მოანდომა. სევიჯი გახდა ყველაზე ახალგაზრდა მოცურავე, რომელმაც ასეთი მარშრუტით გაცურვა განახორციელა. ადრინდელი რეკორდსმენი 10 წლის იყო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

*სპორტი*

# აზარი ირლანდიასთან მატჩს გამოტოვებს?



ბელგიელების ერთ-ერთმა ლიდერმა ედენ აზარმა იტალიასთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო. ეს ინფორმაცია ბელგიელების მთავარმა მწვრთნელმა მარკ ვილმოტსმა დაადასტურა.

მისი თქმით, აზარს მცირე ტრავმა აქვს და შესაძლოა მან ირლანდიასთან შეხვედრა გამოტოვოს.

ბელგია ირლანდიის ნაკრებს 18 ივნისს დაუპირისპირდება და ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის ფრიად მნიშვნელოვანია.

აზარის გარდა, მცირე ტრავმა აწუხებს ბელგიელების კიდევ ერთ ლიდერს კევინ დე ბრუინეს და მისი თამაში ირლანდიასთან ასევე საეჭვოა.

# დარიო სრნა ხორვატიის ნაკრებში დაბრუნდა



ხორვატიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი დარიო სრნა თავის ნაკრებს დაუბრუნდა. მისი დროებითი არყოფნის მიზეზი მამის გარდაცვალება იყო, რის გამოც სრნამ საფრანგეთი დატოვა და თავის სამშობლოში ჩავიდა.

დარიო მამამისის დაკრძალვას დაესწრო, რის შემდეგაც ოთხშაბათს კვლავ ჩავიდა საფრანგეთში და შემდეგ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს.

17 ივნისს ხორვატიის ნაკრები ჩეხეთს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ სრნას გუნდმა პირველ შეხვედრაში თურქეთის ნაკრების დამარცხება შეძლო.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*


წვერსაპარსი PHILIPS
50 ლარი 90-ის ნაცვლად



✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!
50 ლარად 95 ლარის ნაცვლად



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996


# ასტროპროგნოზი
## 16 ივნისისთვის



**ვერძი** – ძალზე დაძაბული პერიოდი გეწყებათ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **კურო** – კრიტიკული დღეა, ბევრი რამ იცვლება. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **ტყუპები** – დღეს ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **კირჩხიბი** – ეს დღე სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიზნის მისაღწევად დიდი შრომა გჭირდებათ. ჯანმრთელობისთვის სახიფათო პერიოდია. **ლომი** – მშვიდი დღეა, რომელიც გპირდებათ ახალ სამსახურს, შემოქმედებითი არეალის გაფართოებას. ნუ აჩქარდებით. ერიდეთ ჭორიკანა ადამიანებთან ურთიერთობას. **ქალწული** – მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში, საზოგადოებრივ სფეროში. ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. **სასწორი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. გელით კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **ღრიანკალი** – იყავით მიზანდასახული და აქტიური. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ბიზნესსაქმიანობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მშვილდოსანი** – შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **თხის რქა** – მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას. კარგი იქნება, თუ გარემოს შეიცვლით, მოინახულებთ მეგობრებს. **მერწყული** – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საზრიანობისა და მოვლენების საღად აღქმის წყალობით ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს იოლად დააღწევთ. **თევზები** – მძიმე დღეა. წარუმატებლობებს დილიდანვე ელოდეთ. მაცდუნებელი წინადადებით მოგმართავენ, რომელსაც არ უნდა დათანხმდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 2. ორსართულიანი სამგზავრო ავტობუსი ინგლისში; 3. მალარიის გამავრცელებელი კოღო; 4. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 5. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი; 10. ამერიკული ჯიპი; 11. იაპონელი კინორეჟისორი; 12. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 13. გამდნარი ლითონების მიერ აირების შთანთქმის ქიმიური პროცესი; 16. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 17. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. ბულგარეთის პირველი მეფე; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 23. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს.

**თარაზულად:** 6. ბოკაჩოს რომანი; 7. ჩაის ფოთლებისა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 8. სისხლის შენადედი სისხლძარღვებში; 9. შეძენილი ჭკუასუსტობა; 14. მიწის სათხრელი მანქანა; 15. ომების მოწინააღმდეგე, მშვიდობისმოყვარე ადამიანი; 18. მამათა მონასტერი; 20. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 22. შავი ზღვის ზვიგენი; 24. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 25. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 26. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ნიცა; 2. „ემი“; 3. კორონაცია; 4. კენზო; 5. ჰამსუნი; 8. ცემი; 9. ბასკეთი; 10. კუპიდონი; 12. სხალთა; 13. ტრალი; 15. „ციცქა“.

**თარაზულად:** 1. „ნესკაფე“; 6. მოწამეთა; 7. „ციცკა“; 10. კლოდი; 11. ომეგა; 13. “ტოკაი“; 14. მოცვი; 16. ლემა; 17. არქტიკა; 18. იგრიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ერებუსი; 2. ჟოეკვარა; 3. სტრუქტურა; 4. „ლატავრა“; 5. კატალონია; 10. უშქარი; 11. სტადიონი; 12. ვისკოზა; 13. ფლორიდა; 16. „ჯამბაზები“; 17. ლილახანა; 19. ესტაფეტა; 21. ტრასა; 22. შაორი.

**თარაზულად:** 6. ტრიფოლიატი; 7. „მარსალა“; 8. ყულევი; 9. აქილევსი; 14. კლაკიორი; 15. კოსმეტიკა; 18. კანოე; 20. ლიკეუმი; 22. ხაშლამა; 24. პრიზმა; 25. რეფლექსი; 26. გურონი.

მედიცინა

# მკურნალი მცენარე



**კაკალი** – კაკლის გული 54 74% ზეთს, 12 21 % ცილოვან ნივთიერებებს ვიტამინ ბე-ს და პროვიტამინ ა-ს შეიცავს.

კაკალი საქართველოში ოდითგანვე საკულტო ხედ ითვლებოდა. ახალგაზრდა მწვანე ნაყოფი მდიდარია ასკორბინის მჟავით და კაროტინით.

ფოთლებისა და წენგოს ნახარშს ხალხურ მედიცინაში კუჭისა და გინეკოლოგიური დაავადებების, თირკმელებისა და



საშარდე ბუშტის, სტომატიტისა და ანგინის სამკურნალოდ ხმარობენ. სვამენ ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად და ორგანიზმის გასამაგრებლად, ავიტამინოზის დროს. წენგოს ფხვნილი სისხლდენის შემაჩერებელია. წენგოსგან კეთდებოდა პრეპარატი „იუგლონი“ კანის ტუბერკულოზის სამკურნალოდ. იაპონიის ერთ ერთი ფირმა კაკლის დაფხვნილ ნაჭუჭს ცვეთისადმი დიდი გამძლეობის სამუხრუჭე მასალის წარმოებაში იყენებს. ფოთლების ჩაის – 50 გ 1 ლიტრ წყალზე – სვამენ კანის ნაირგვარი დაავადებების, ვენერიული სნეულებების, მრგვალი ჭიების წინააღმდეგ და კუჭნაწლავის კატარის სამკურნალოდ. აღნიშნავენ, რომ დიაბეტიკს შაქრის შემცველობას უმცირებს შარდში. ბულგარეთში კაკლის ფოთლებს იყენებენ ღრძილებისა და ლიმფური ჯირკვლების გასტროენტერიტის, კუჭაშლილობის დროს. დასალევად გამოიყენებენ: ერთი სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ კაკლის ფოთოლს ასხამენ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს.

* * *

**აღმოსავლური ნაძვი** – ფიჭვისებრთა ოჯახს ეკუთვნის. 60 მეტრამდე სიმაღლის ხეა, დიამეტრში კი 2 მეტრამდე აღწევს. ხშირი დატოტვის გამო ვარჯი ძალიან კომპაქტურია და წვიმას თითქმის არ ატარებს. გავრცელებულია ძირითადად დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში. ძირითადად იზრდება 1.500-1.700 მეტრ სიმაღლეზე, ზოგან უფრო მაღლაც ქარისგან დაცულ ადგილებში.

ნაძვის ფისისაგან შესაძლოა კოლოფანის, სკიპდარის და ხის ძმარის დამზადება. ქერქი შეიცავს ტანინებს, რომელიც განსაკუთრებით ბევრია ზრდაში ჩამორჩენილ დაჩაგრული ხეების ქერქში. წიწვები 400 მგ პროცენტზე მეტ ა ვიტამინს შეიცავს და გამოიყენება ვიტამინოვანი კონცენტრატების მოსამზადებლად. აგრეთვე სუროვანდის საწინააღმდეგო ნაყენებისათვის. აგრეთვე ნაძვის წიწვებს იყენებენ აბაზანებისათვის რევმატიზმის სამკურნალოდ.

ნაძვის წიწვებიდან მიიღება პრეპარატი პინაბინი, რომელიც ეთერზეთის 50% იანი ხსნარია ატმის ზეთზე. პინაბინი



სპაზმოლიტურად მოქმედებს შარდგამომყოფი გზების მუსკულატურაზე, ზღუდავს ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების განვითარებას. იგი რეკომენდირებულია, როგორც შარდმდენი საშუალება თირკმელების კენჭოვანი დაავადების და თირკმლის ჭვალის დროს. იღებენ 5-20 წვეთს შაქრით, დღეში სამჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე 4-5 კვირის განმავლობაში. პინაბინის მიღება დასაშვებია მხოლოდ ექიმის გამოწერით.

ნაძვის კვირტების ნაყენს ცდიან, როგორც საშუალება ანთებადი პროცესების სამკურნალოდ და სასუნთქი გზების სპეციფიკური დაავადებების (რინიტი, კატარი, ანგინა, ბრონქიალური ასთმა და სხვ.) წინააღმდეგ.

ხალხურ მედიცინაში ნაძვის ჩვილი ყლორტების არაყზე ნაყენს იყენებენ ტუბერკულოზის დროს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# იშხანში ტაძრის დასავლეთ კედელზე მხატვრობა აღმოაჩინეს

ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული კულტურული ძეგლებიდან სარესტავრაციო სამუშაოები პირველ რიგში იშხანს ჩაუტარდა. თურქულმა მხარემ ტაძარი გადახურა და ახლა იქ გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია.

კვლევის ცენტრის ინფორმაციით, ტაძრის დასავლეთ კარების თავზე სამი წმინდანის გამოსახულება აღმოჩნდა:

– ტაძრის დასავლეთ კარების თავზე მხატვრობის გასუფთავების შემდგომ გამოჩნდა სამი წმინდანის გამოსახულება წარწერებით.

ეს გამოსახულება ცნობილია, როგორც „სამი ყრმა სახმილსა შინა“. აქ მოთხრობილია ძველი აღთქმის ამბავი – ნაბუქოდონოსორის მიერ სამი ყრმის – ანანიას, აზარიასა და მისაელის ცეცხლში, სახმილში ჩაყრა და მათი სასწაულებრივად გადარჩენა. ამ სცენას, როგორც წესი, აღდგომის იდეის გადმოსაცემად იყენებდნენ.



პალეოგრაფია ადრეულია X-XI საუკუნეებისა. იკითხება: მარცხნივ – „[ა]ნ[ა]ნ?ა“, შუაში – „აზარია“, მარჯვნივ – „მისაი[ლ].

# გოჩა ჭაბუკაიძემ მეეზოვის როლი მოირგო

მომღერალმა და მედავითნემ გოჩა ჭაბუკაიძემ მეეზოვის როლი მოირგო.

ქართული და უკრაინული „ნიჭიერის“ ფინალისტმა მონაწილეობა მიიღო მოკლემეტრაჟიან ფილმში „მეეზოვე“, რომელიც ახალგაზრდა მწერლისა და პოეტის ანა ლაშხელი-ონიანის ამავე სახელწოდების ჩანახატის მიხედვით გადაიღეს.



რეჟისორებმა ანდრო წიკლაურმა და დავით ყურაშიძემ 4 წუთიანი ფილმი შექმნეს და მთავარი როლი გოჩა ჭაბუკაიძეს შესთავაზეს. შეთავაზებაზე უარი არ უთქვამს მედავითნეს, ნარინჯისფერი ფორმა მოირგო და მოკლემეტრაჟიანი ფილმის მთავარი პერსონაჟი გახდა.

ანა ლაშხელი-ონიანის ჩანახატში მეეზოვე უთენია დგება და ქალაქს ნაგვისგან ასუფთავებს, თუმცა ერთ დღეს ნაგავში ჩვილს იპოვის, რომელსაც სახლში წაიყვანს და გაზრდის.

# აზერბაიჯანის მიწისქვეშა თეატრი თბილისში ჩამოვიდა




აზერბაიჯანის პირველი დამოუკიდებელი მიწისქვეშა თეატრი „ადო თეატრი“ თბილისში ჩამოვიდა და მაყურებელს სპექტაკლს მხოლოდ ერთ დღეს, 16 ივნისს შესთავაზებს.

წარმოდგენა მოძრაობის თეატრში იქნება წარმოდგენილი. საკუთარი რეპერტუარიდან დასმა ერთ-ერთი ყველაზე გიჟური და არაორდინარული სპექტაკლი „სტოპ“ შეარჩია, რომელიც გარდა იმისა, რომართობს მაყურებელს, ასევე გადმოსცემს მკვეთრ და ღრმა სათქმელს.

ეს არის წარმოდგენა, რომელმაც აზერბაიჯანში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, სამყაროს ქაოტური უსამართლობა სპექტაკლში ბურლესკის ელემენტებითა და ტრაგიკული ბუფონადის აქცენტებით არის გადმოცემული.

– რა ხდება მაშინ, როდესაც მასისგან განსხვავებული ადამიანი უეცრად იღვიძებს? – ეს არის რეჟისორის მთავარი სათქმელი.

სპექტაკლის რეჟისორი ელმინ ბადალოვია, ინსცენირების ავტორი ლეილა გულიევა, ქორეოგრაფი რუმია აღაევა.

მთავარ როლებში მოძრაობის თეატრში მისული მაყურებელი იხილავს ელზა ფურტადოს, ზაურ ჰაჯიზადეს, ნიჰად გულამზადეს, რუმია აღაევას და აინურ ზარინტაჩს.

ელმინ ბადალოვი აღმოჩნდა პირველი, ვინც აზერბაიჯანში 2015 წლის პირველ სექტემბერს პირველი დამოუკიდებელი თეატრი „ადო თეატრი“ დააარსა.

ამ თეატრის დაარსებით ელმინ ბადალოვმა აზერბაიჯანულ თეატრში ახალი სტილი და მხატვრული მიმართულება შექმნა. მათი უსიტყვო სპექტაკლები არღვევს კლასიკური, აკადემიური თეატრის სტერეოტიპებს და ზღვარს მაყურებელთან.

# ლადო გუდიაშვილის იუბილე თბილისსა და დუშეთში აღინიშნება



2016 წელი ცნობილი ქართველი მხატვრის, ლადო გუდიაშვილის საიუბილეო წელია. წელს ხელოვანის დაბადებიდან 120 წელი შესრულდა. ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნა მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით არის დაგეგმილი.

17 და 18 ივნისს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე რიგით 25-ე ღონისძიებას გამართავს და ლადო გუდიაშვილის იუბილეს თბილისსა და დუშეთში ეროვნული სახალხო დღესასწაულით აღნიშნავს.

თბილისში მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მხატვრის საფლავთან შეიკრიბებიან საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ხელოვანები, მეცნიერები, მომღერლები, მსახიობები, ფოლკლორული ანსამბლები და პატივს მიაგებენ მის ხსოვნას. თბილისში ჩამოვლენ დელეგაციები მცხეთა-მთიანეთიდან, დუშეთიდან, ოზურგეთიდან, იმერეთიდან, კახეთიდან.

18 ივნისს იუბილეს აღნიშვნა დუშეთში გადაინაცვლებს, სადაც გაიმართება საქველმოქმედო ღონისძიებები, დარიგდება ჰუმანიტარული დახმარება. თბილისიდან ჩასული ექიმები უფასოდ მოემსახურებიან ადგილობრივ მცხოვრებლებს და გამოკვლევებსა და დიაგნოსტიკურ მომსახურებას გაუწევენ. დუშეთის კულტურის სასახლეში კი დასკვნითი საიუბილეო ღონისძიება გაიმართება.

სპეციალურად ლადო გუდიაშვილის იუბილესთვის ჩამოისხა ღვინო „ლადო გუდიაშვილი 120“, თეთრი ღვინო წინანდალი და წითელი ღვინო მუკუზანი. სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მზადდება 360 გვერდიანი ფერადი წიგნი „ლადო გუდიაშვილი 120“, რომელიც ტექნიკური მიზეზების გამო, მოგვიანებით გამოიცემა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 16 ივნისი**

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმი ოლივერი" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **14.05** "XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** "**ევრო – 2016**" **16.30 ევრო-2016.** გადაცემა **16.50 ფეხბურთი. ევრო 2016. ინგლისი – უელსი. 19.25 ევრო-2016. 19.50 ფეხბურთი. ევრო 2016. უკრაინა – ჩრდ"ირლანდია. 22.00 ევრო-2016. 22.50 ფეხბურთი. ევრო 2016. გერმანია – პოლონეთი. 01.00 ევრო-2016. 01.25** მხ/ფ "**მისაბაძი მაგალითი**"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ევროპაXXI დამალული ეპიდემია" **13.00** დ/ფ "ტვინი სარკეში" **14.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი 20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**სილამაზე ამერიკულად**" **02.15** მხ/ფ "**უხამსი წინადადება**" **04.25** მხ/ფ "**ღამე მშვიდობისა" მთვარევ**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **4 23.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.10** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** გალფის გათამაშება **22.45** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.15** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **1.15** მხ/ფ "**სტუმრობის საათები**"

**06.15** სჯანი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "იასამანი" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ჩარი რამა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ან/ფ **16.50** კონცერტი "თბილისის საგუნდო მუსიკისVI საერთაშორისო ფესტივალი" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.45** პორტრეტები **20.20** დოკ. ფილმი **20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.00** საეკლესიო კალენდარი **21.05** პატრიარქის ქადაგება **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** დ/ფ **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 00.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05, 21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**სახიფათო ქალი**" **22.35** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **23.30** სერ. "**ჯუნა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.1291

ევრო — 2.3999

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0176

100 რუსული რუბლი — 3.2381

## ამინდის პროგნოზი 16 ივნისისთვის




## 14 ივნისიდან

### ალბერტო მორავია
# ჩოჩარა



**ოქროს ბიბლიოთეკა მე-6 ტომი**

წიგნში დიდი მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა იტალიის მოსახლეობას ოკუპაციის წლებში.

1960 წელს ვიტორიო დე სიკამ ამ რომანის მიხედვით გადაიღო ფილმი. ის ეხება იტალიის პროვინცია ჩოჩარაში მცხოვრებ ქალს, რომელსაც სურს, მეორე მსოფლიო ომის საშინელებებისგან დაიცვას თავისი მცირეწლოვანი შვილი.

ფილმში მთავარ როლს სოფი ლორენი ასრულებს.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 17 ივნისიდან

# ქართული ჯადოსნური ზღაპრები



**მაგარი ყდა, 200 ფერადი გვერდი**

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

# იტალიური რესტორანი მსოფლიოში საუკეთესოა



ერთ-ერთმა ბრიტანულმა ჟურნალმა შეადგინა მსოფლიოს საუკეთესო რესტორნების რეიტინგი, რომლის თანახმადაც საუკეთესო რესტორნად იტალიური რესტორანი ოსტერია ფრანცესკანა იქნა აღიარებული.

რეიტინგის ერთ-ერთი შემადგენელის თქმით, დაწესებულება ერთმანეთს უხამებს კერძების მომზადების უჩვეულო და თანამედროვე შეხედულებას და ადგილობრივი სამზარეულოს ტრადიციებს. ამის წყალობით ის ისტორიაში პირველი იტალიური რესტორანი გახდა, რომელიც რეიტინგის სათავეში აღმოჩნდა.

2015 წელს საუკეთესო რესტორნად აღიარებული იყო ესპანური რესტორანი ელ კელერ დე კან როხა. ამჯერად ეს რესტორანი მეორე ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო მესამეზე გავიდა ნიუ-იორკის რესტორანი ილევენ მედისონ პარკი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



კაცი ცოლს ეყრება. მოსამართლე ეკითხება:
– რატომ ეყრები ცოლს?
– არ ვუყვარვარ და იმიტომ.
– კი მაგრამ, რა იცით, რომ არ უყვარხართ?
– კაი ერთი, მაგას მე რომ ვყვარებოდი, სხვას გაჰყვებოდა ცოლად.

●●●

კაცი ექიმთან მივიდა და შესჩივლა:
– ექიმო, წნევა მაქვს მაღალი.
– აჰ, წნევას ვერ ვარჩენთ.
– ინფარქტს?
– ვერც მაგას.
– კიბოს?
– რას ლაპარაკობ.
– აბა, ეკალს მე თვითონაც ვიძრობ ფეხიდან.

●●●

სოფლელს ახალგაზრდა მანქანით დაეჯახა. სოფლელი წაიქცა. გადმოხტა მანქანიდან მძღოლი, მივარდა და ეხვეწება:
– ადექი ბიძია, გეხვეწები რაა... ადექი ბიძია, გეხვეწები რაა...
კაცმა თვალი გაახილა, შეხედა და ეუბნება:
– ვიდექი ბიძია, მარა, დამაყენე?!

●●●

თბილისიდან რაიონში ექიმების ჯგუფი ჩავიდა ტრენინგების ჩასატარებლად. ერთი მოხუცი მივიდა ერთ-ერთ ექიმთან და ეუბნება:
– ბაბუ, აქაურმა ექიმმა წამლები დამინიშნა, რაც მთავარია, სმა ამიკრძალა და შენ რაცხა შემოსარები გზა გეცოდინება.
ექიმმა გადახედა დიაგნოზს, ანალიზების პასუხებს, დანიშნულებას და მოხუცს ეუბნება:
– ბაბუ, აგი დანიშნულება სწორია და ამ წამლებს თუ არ მიიღებ და სმას თავს არ დაანებებ, მალე შენ თავად იქნები შემოსარები „ზალაში“.

●●●

ბავშვი მაღაზიაში შედის, გამყიდველს ქილას აწვდის და ეუბნება:
– ორი კილოგრამი თაფლი ჩამისხით.
გამყიდველმა ჩაუსხა. ბავშვი ეუბნება:
– ხვალე მამა მოვა და ფულს მოგცემთ.
– არა, მასე არ გამოვა, – უთხრა გამყიდველმა და თაფლი ქილიდან უკანვე გადმოასხა.
მაღაზიიდან გამოსულმა ბავშვმა ქილაში ჩაიხედა და ჩაილაპარაკა.
– მართალი იყო მამა, ორ ბუტერბროდს ეყოფა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 16 ივნისიდან




### მარიო ვარგას ლიოსა
# ცუდი გოგოს ოინები

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

„ცუდი გოგოს ოინები“ დიდი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატ მარიო ვარგას ლიოსას ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რომანია.

მწერალი მოგვითხრობს ქალისა და მამაკაცის რთული ურთიერთობის შესახებ, რომელიც ადრეულ სიყმაწვილეში იწყება და თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში სდევს პერსონაჟებს.

წიგნს ვრცელი გეოგრაფია აქვს – ლიმა, პარიზი, ლონდონი, ტოკიო, მადრიდი, სადაც ორიგინალურად ერწყმის ერთმანეთს ამ ქალაქებში მომხდარი უჩვეულო მოვლენები და რომანის გმირების არაორდინარული ურთიერთობა.

# კრიშტიანო რონალდუმ ისლანდიელები გააკრიტიკა




პორტუგალიის ნაკრებმა ბევრისთვის მოულოდნელად ისლანდიის დამარცხება ვერ შეძლო და მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

მატჩის შემდეგ კრიშტიანო რონალდუმ ისლანდიელები გააკრიტიკა და თქვა, რომ მათ პატარა გუნდის მენტალიტეტი აქვთ, ამიტომ ვერაფერს მიაღწევენ ამ ტურნირზე. რონალდუმ ასევე აღნიშნა, რომ ისლანდიელებს ფრე ისე უხაროდათ, თითქოს ევროპის ჩემპიონატი მოიგეს.

ისლანდიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა კარი არნასონმა კრიშტიანუს უპასუხა და თქვა, რომ პორტუგალიელს უბრალოდ ცუდი შედეგის ატანა არ შეუძლია.

– რონალდუ შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ არცთუ კარგი ადამიანი. მან უბრალოდ ვერ აიტანა ის, რომ ჩვენი დამარცხება ვერ შეძლო. ამის გამო ის ყოველთვის მესიზე უკან იქნება. პორტუგალიასთან ფრე დავიმსახურეთ და ეს ჩვენთვის კარგი შედეგია, – თქვა ისლანდიელმა ფეხბურთელმა.

არნასონმა ასევე აღნიშნა, რომ რონალდუს აზრი არ ადარდებს.

# ჩელსის ანდრე გომეშის ყიდვა სურს



ლონდონის ჩელსი ვალენსიის პორტუგალიელი ნახევარმცველის ანდრე გომეშის შეძენით არის დაინტერესებული.

ლონდონელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 32 მილიონი ევრო გადაიხადონ, მაგრამ ვალენსიას ეს თანხა არ აკმაყოფილებს. ესპანელები 42 მილიონს ითხოვენ და უფრო ნაკლებად ანდრე გომეშის გაყიდვას არ აპირებენ.

ჩელსიმ შესაძლოა სატრანსფერო თანხას მოუმატოს, თუმცა ლონდონელებს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

ანდრე გომეში ვალენსიაში გასული წლის ზაფხულს გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

# პედრო შესაძლოა ბარსელონაში დაბრუნდეს



ჩელსის ესპანელმა ფორვარდმა განაცხადა, რომ ის ბარსელონაში დაბრუნებას არ გამორიცხავს. პედრომ კატალონიური გუნდი 2015 წლის ზაფხულში დატოვა, რადგან მას საკმარისი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა. ჩელსიში პედრომ 9 გოლის გატანა შეძლო სხვადასხვა ტურნირებში და ის საკმაოდ ხშირად ხვდებოდა ლონდონელების ძირითად შემადგენლობაში.

მიუხედავად ამისა, პედრომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ შანსი მიეცემა, აუცილებლად დაბრუნდება გუნდში, რომელშიც 7 წელიწადი გაატარა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჯიხვების ჯოგი; 2. ელექტროობის წინაღობის საზომი ერთეული; 3. ფირმა „როლექსი“-ს დამფუძნებელი; 4. ხრახნული კონვეიერი; 5. თავხედური გულახდილობა; 8. ემილ ზოლას რომანი; 9. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 12. საქართველოში გავრცელებული, ძალზე მაგარმერქნიანი, წითელ წიგნში შეტანილი ფოთლოვანი ხე; 13. ფინეთის პარლამენტი; 15. უძველესი ისტორიული ქალაქი ჯავახეთში.

**თარაზულად:** 1. მსხლის ფორმის მქონე, ზეთით მდიდარი ტროპიკული მცენარე; 6. თხევადი საწვავისა და ბალასტის ავზები გემზე; 7. გზისპირა კაფე, სასაუზმე ესპანეთში; 10. სერბი ფიზიკოსი, გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 11. ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 13. მოკლე, მისასალმებელი სადღეგრძელო ბანკეტზე; 14. შავი, წვრილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 16. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 17. ახალგაზრდა, გულუბრყვილო ქალის როლების შემსრულებელი მსახიობის ამპლუა თეატრში; 18. მეფის სიგელი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი